ყოველდღიური გაზეთი ფასი 7 კაპ. პარასკევი, 28 ღვინობისთვე 1916 წ. № 240

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე გამოცხადებულ განცხადებათა ფასი — ... ქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირ. მეტი. დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**ხელმოწერის ფასი:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით 4 თვით—4 მ. 80 კ. 3 თვით—3 მ. 60 კ. 1 თვით—1 მ. 20 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

**პროვინციაში:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 5 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 6—მან.

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე.

**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **ხარიტონ შანშიაშვილი.**

---

გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია
აუწყებს თავისს მკითხველებს, მისის თანამშრომლის

## თევდორე ჟორდანიას

სულის მოსახსენებლათ პანაშვიდს გადაიხდის დღეს, 28 ღვინობისთვეს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, საღამოს 7 საათზე.

---

ნაფიც ვექილის თანაშემწე **გიორგი თევდორეს ძე ჟორდანია** ცოლშვილით და და-ძმითურთ აუწყებს ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ მისი ძვირფასი მამის

## თევდორე დავითის ძის ჟორდანიას

სულის მოსახსენებლათ პანაშვიდები გადახდილ იქმნება დღეს 28 და ხვალ 29 ღვინობისთვეს საღამოს 7 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, წირვა და ანდერძი კვირას 30 ამა თვისას. დაკრძალვა ნაწირვეეს დიდუბის ეკლესიაში ქართულ მოღვაწეთა პანთეონში.

---

**მადლიერნი ნამოწაფარნი** მწუხარებით აუწყებენ თავიანთ ამხანაგთ მათის ძვირფასის მასწავლებლის

## თევდორე დ. ჟორდანიას

გარდაცვალებას და მოუწოდებენ მათ მიცვალებულის სულის მოსახსენებლად გადასახდელ პანაშვიდზე დასასწრებლად დღეს, 28 ღვინობისთვეს, საღამოს 7 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში.

---

**საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო** ამით აუწყებს საზოგადოების წევრებს, რომ დღეს, 28 ღვინობისთვეს საღამოს 7 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, გადახდილ იქნება პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულის, არქეოლოგ-ისტორიკოსის, საზოგადოების წევრის,

## თევდორე დავითის ძის ჟორდანიას

სულის მოსახსენებლად.

(1—378—1)

---

26 ღვინობისთვეს გარდაიცვალა **მარიამ ივანე კაკაბაძის ასული**

## მეუღლე ალექსანდრე ნიკიტინისა

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და მეგობრებს, მეუღლე განსვენებულისა **ალექსანდრე**, ქალიშვილი **ნინო** და შვილი **დავით ნიკიტინები და მელანია საბაშვილისა და ძმა იაგორ კაკაბაძე შვილებით.**

პანაშვიდი პარასკევს, 28 ამა თვეს, საღამოს 6 საათზე (ბებუთოვის ქუჩა, სახლ. 16, ეზოში), გასვენება შაბათს, 29 ამა თვის, დილის 9 საათზე, ქაშვეთის ეკლესიაში წირვის მოსასმენად და იქიდან კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე.

2—1

---

## ქუთაისის ქალაქის თეატრი

**ხუთშაბათს, 27, და პარასკევს, 28 ოქტომბერს**

გაიმართება პირველად ქუთაისში ცნობილი ქართული

## სიტყვა-მუსიკობა (ლექცია-კონცერტი) კ. ფოცხვერაშვილისა

ბილეთები იყიდება მთავრიშვილის და ოცხელის წიგნის მაღაზიებში.

**დასაწყისი საღ. 8 საათზე.** ✦ ✦ ✦ **ცალკე აფიშა არ გამოვა**

ესევე ლექცია-კონცერტი გაიმართება დ. ყვირილაში შაბათს, 29 ოქტომბერს.

(2—222—2)

---




„ფრანციის“ ნომრების ქვეშ, შტაბის ქუჩა.

მოწყობილია ევროპიულ პირველ ხარისხოვან რესტორანების მსგავსად. საჭმელები ევროპიულიც არის და ადგილობრივიც. ყოველ დღეა: ხარშო, ლობიო, საცივი, ხაჭაპური, „პიროჟკი“ და სხვა საუზმე. სადილი და ვახშამი. მიუხედავად სანოვაგის სიძვირისა, „ეკონომიაში“ სადილები მეტად იაფია. გამოცდილი მზარეული სადილს კარგათ ამზადებს.

**სასადილოში არის ნარდი და ბილიარდი**

პატივისცემით „კაფე-პარიზის“ წინანდელი მწარმოებელი დიმიტრი უჩ. გიგიბერია და ნ. გ. ქურთაური

(თ. 253—30)

---

პირველ ხარისხოვანი რესტორანი

## კაფე პარიზი

ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.

(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)

სისხისაგან თავის შეფარება მხოლოდ **„კაფე პარიზში“ შეიძლება.**

ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია

ყოველ დღე მზადდება

| | |
|---|---|
| საუზმე | ჩაი |
| სადილები | ყავა |
| ვახშმები | ხაჭაპური |
| | პიროჟკიბი |

ადგილობრივი და უცხოური საჭმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვა ნელობით.

პატივისცემით სიდ. ს. გიგიბერია.

---

## ფოთი

კვირას, 30 ღვინობისთვეს, ელექტრო-თეატრ „კომეტა“-ს დარბაზში

### ილიკო კურხული გამართავს

## ლექცია—დილას

I და II განყოფილებაში წაიკითხავს „მოხეტიალე მუსიკოსის ნაწერებიდან“ შთაბეჭდილებებს პეტროგრადის, მოსკოვის და სხვა რუსეთის ქალაქების ეზოებში ხეტიალის დროს. მე-III განყოფილებაში სკრიპკაზედ შეასრულებს სხვა და სხვა მსოფლიო მუსიკოსების ნაწარმოებს თავის „საეზოო“ რეპერტუარიდან.

ადგილების ფასი 1 მ. 50 კ.-დან 20 კ.-მდე.

დასაწყისი შუადღის 12 საათზედ.

(3—224—1)

---

დაიბეჭდა ბ-ნ დ. უზნაძის მიერ შედგენილი წიგნი:

## „მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო“

პირველი ნაწილი ძველი აღმოსავლეთი და პირველყოფილი კულტურა, ფასი ყდით ექვსი აბაზი.

და ბ-ნ ვას. წერეთლის მიერ შედგენილი:

## ქართული სამეცნიერო და საფილოსოფიო ტერმინოლოგია

ივანე პეტრიწის თარგმანის მიხედვით, ფ. 30 კაპ.

გამოცემულნი თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიის მიერ.

იბეჭდება და მალე გამოვა ბ-ნ ს. გორგაძის მიერ შედგენილი ქრისტომატია

## ჩვენი ახალი მწერლობა

და ბ-ნ მ. ყიფიანის მიერ შედგენილი

## ალგებრა ქართულ ენაზე.

(10—203—10)

---

## ექიმი ფონ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

**მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს** ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი ღოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჰრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი (Бѣль), საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფებს მიღება ხდება დილის $9^1/_2$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

**ერლიხის „914“ და „606“ შეშხაპუნება**

---

დოქტორი მედიცინისა

## მოსე ანთიმოსის ძე კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

---

ექიმი

## მ. ი. ვაჩნაძე

იღებს **ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს** მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

---

ექიმი-დოსტაქარი

## გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნის და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

---

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

## ახალი აფთიაქი

✦ პროვიზორის ახვლედიანისა ✦

---

## რუსეთის ფინანსები და რკინის გზათა შენება

ამ ბოლო დროს რუსეთის მთავრობის და საზოგადოების წრეებში ცხარედ ბჭობენ ახალ რკინის გზათა გაყვანის შესახებ; მინისტრთა საბჭომ ამისათვის სხვა და სხვა უწყებათა წარმომადგენლების რჩევა გამართა, რკინის გზათა მინისტრის თანაშემწის, ბარისოვის თავმჯდომარეობით; საოლქო სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებმა თავის მხრივ შეადგინეს ასეთივე ბჭობა ინჟინერ ბუბლიკოვის ხელმძღვანელობით; საქართველოში ამავე საკითხზე ბჭობს რუსული საგეოგრაფიო საზოგადოების განყოფილება; ბეჭდვითი სიტყვაც მხურვალე ინტერესით ეკიდება რკინის გზების შენების საქმეს...

მიზეზი ასეთ ყურადღებისა ადვილათ ასახსნელია: მიმდინარე ომს ურიცხვი მსხვერპლი შესწირა რუსეთმა, როგორც სისხლით, ისე ფულით; ომი რომ კიდევ ერთ წელს გაგრძელდეს, რუსეთს სახელმწიფო ვალი დაედება არა ნაკლებ 40 მილიარდისა; ამას უნდა მიუმატოთ 10 მილიარდის ღირებული ახლად დაბეჭდილი ქაღალდის ფული და კიდევ რამოდენიმე მილიარდის ღირებული მოკლევადიანი თამასუქი, გაცემული ხაზინის მიერ...

ამ ციფრების მნიშვნელობა ისეთია, რომ პროფ. მანუილოვის ანგარიშით, ომის შემდეგ რუსეთს მოუხდება ყოველ წლივ 2 მილიარდის, ესე იგი, ორი ათას მილიონის გადახდა მხოლოდ სარგებლის სახით, თავნის გასტუმრებას რომ თავი დავანებოთ... მაშასადამე, რუსეთის სახელმწიფომ ორი მილიარდით უნდა გაადიდოს ომის წინანდელი ხარჯთ-აღრიცხვა, ბიუჯეტი, რომ პატიოსნად შეასრულოს თავისი ვალდებულებანი; ომამდის რუსეთის ბიუჯეტი უდრიდა 3 მილიარდ ნახევარ მანათს, ასე რომ ომის შემდეგ სახელმწიფოს შესავალ-გასავლის ორი მესამედით მეტი უნდა იყოს წინანდელზე...

მერმე საიდან?

რუსეთს არ შეუძლია ამ 2 მილიარდის შოვნა გადასახადების მომატებით, რადგან გადასახადების ტვირთი ისედაც დამძიმებულია, იმ ნაკლის შესავსებლად, რომელიც გამოიწვია არაყის გაყიდვის აკრძალვამ; ახალი პირდაპირი გადასახადები, დაწესებული შემოსავალზე და ქონებაზე, სულ დიდი, 200 მილიონს თუ შემოიტანს; არაპირდაპირი გადასახადები კი უკვე საკმაოდ აწეულია.

მომავალ ხარჯის გაზრდას ვერ აუვა ვერც სახელმწიფო მონოპოლიათა დაწესება: ჩაისა, თუთუნსა, ასანთსა, ნავთსა და სხვა ასეთ საქონელზე, რადგან ამ საქონლებით ვაჭრობის გადასვლა სახელმწიფოს ხელში ვერ გაადიდებს უწინდელ შემოსავალს.

რასაკვირველია, რუსეთს შეუძლია ფულის შოვნა ნედლი მასალის გატანის გაძლიერებით; მაგრამ ეს გაძლიერებული ექსპორტი პირდაპირი იაფი „რასპრადაჟა“ იქნება რუსეთის ბუნებრივ სიმდიდრისა; იგი მისცემს უცხოეთს იმ საქონელს, რომელიც თვით რუსეთის მეურნეობას სჭირია.

არის კიდევ ერთი საშუალება. ვალის და სარგებლის დასაფარავად—ახალი ვალის აღება; მოკლევადიანი ვალდებულებას გრძელვადიანად გადააქცევენ და სარგებელს კი, დროზედ გასტუმრების მაგიერ, ვალს მიაწერავენ,—მაგრამ ეს ხომ მოვალეს სიკოტრეს მოასწავებს..

ერთად ერთი ხსნა—სახალხო მეურნეობის აღწევა და სახელმწიფო წარმოების განვითარებაა; რუსეთი მხოლოდ მაშინ მოახერხებს ორ მილიარდიან სარგებლის გასტუმრებას, თუ იგი ყოველწლივ მეტი ღირებულების საქონელს გააკეთებს, ვიდრე აქამდის აკეთებდა, თუ ხალხის ხელში მყოფი სიმდიდრე ერთი-ორად გაიზრდება; თუ საწარმოო ძალები საკმაოდ განვითარდება, მაშინ რუსეთი იაფ ნედლ მასალას კი არ გაიტანს საზღვარ გარედ, არამედ თვითონ დაამუშავებს მას და ამგვარად აღარ გადიხდის იმ ბეგარას, რომელსაც მას აძლევს უცხოეთი ნედლის გადაკეთებისათვის; ზედმეტად დამზადებულ საქონელს თვით რუსეთი გაიტანს გარედ და ამგვარად გადიდებული ექსპორტით გამოასწორებს თავის სავაჭრო და გარდასახად ბალანსს, გახდის მას აქტიურად მით, რომ უფრო მეტს გაჰყიდის, ვიდრე იყიდის და განაყიდში მიღებულ ოქროთი დაახურდავებს იმ 10 მილიარდის ღირებულ ქაღალდის ფულს, რომელიც ამ ჟამად აგრე აძვირებს ცხოვრებას...

მაგრამ მრეწველობა-ვაჭრობის ასეთი აღწევა წარმოუდგენელია მრავალ ათას ვერსიან ახალ რკინის გზათა აუშენებლად.

რკინის გზათა საკითხი მარტო სტრატეგიული კი არ არის, იგი იმავ დროს მთელ ეროვნულ მეურნეობის საკითხია; რკინის გზის გაყვანა თავის-თავად ანაყოფიერებს იმ ადგილის მეურნეობას, სადაც იგი გადის; ანაყოფიერებს როგორც სოფლის მეურნეობას, მიწათმოქმედებას, ისე მრეწველობის სხვა და სხვა დარგს; რკინის გზის გაყვანა აადვილებს ისეთ ნედლ მასალის და სათბობის გადატან-გადმოტანას, რომელიც საჭიროა მრეწველობისათვის, მაგალითად, ხე-ტყისა, ქვა-ნახშირისა, მადნეულობისა და სხვა; რკინის გზა აღვიძებს ბუნებრივად მდიდარ, მაგრამ შორეულ და მივიწყებულ ადგილებს, რკინის გზა უადვილებს სოფლის მეურნეს, როგორც მსხვილ მემამულეს, ისე გლეხს, თავის ნაწარმოების გატანას ან მსოფლიო ბაზარზე, ან და სახელმწიფოს შიგნით მომხმარებელ ადგილებში.

მეცნიერულად ნაანგარიშევიც არის ის სარგებლობა, რკინის გზას ეროვნულ მეურნეობისათვის რომ მოაქვს; ლიებმანმა იანგარიშა ერთის მხრით რკინის გზის საერთო შემოსავლის ზრდა და მეორეს მხრით—ის შედეგი, მას რომ თან სდევს: ფრახტის გაიაფება, წარმოების გადიდება, დროის დაზოგვა, მიწის ფასის აწევა, გზების მოვლისათვის საჭირო ხარჯის შემცირება, მისვლა-მოსვლის საზოგადო ზრდა, სახელმწიფო ბიუჯეტის და საერთოო ეროვნულ წარმოების გადიდება,—და გამოარკვია, რომ კოეფიციენტი სარგებლობისა არის 3 ან $3^1/_2$, ესე იგი რამდენიც ერთი მანათი შეუდის რკინის გზას, იმდენი სამი მანათი ემატება ეროვნულ მეურნეობას...

თუ ამ ანგარიშს დავეყრდნობით, შეგვიძლია გამოვარკვიოთ, რამდენი ვერსია საჭირო ახალი რკინის გზისა, რომ რუსეთმა ახალი სახელმწიფო ვალის სარგებელი გაისტუმროს: 2 მილიარდის ეროვნული სიმდიდრე რომ შეიქმნას, საჭიროა რკინის გზათა წლიური შემოსავალი 600 მილიონით რომ გაიზარდოს; რკინის გზის თითო ვერსს წლიურად 10.000 მანეთი შემოაქვს, მაშასადამე, რკინის გზათა ახალი ქსელი უნდა იყოს 60.000 ვერსის სიგრძე.

როგორც მთავრობის მიერ დაწესებული საგანგებო საბჭო, ისე კერძო მკვლევარნი, მაგალითად, ინჟენერი იურენიევი, თანახმანი არიან, რომ რუსეთს ესაჭიროება სწორედ ეს 60.000 ვერსი; ან საარაკო სისწრაფით ასეთის მდევურ რკინის ქსელის შექმნა ან ეკონომიური მონობა და დაღუპვაო...

მაგრამ თქმა ხომ ადვილია, ვიდრე აღსრულება... 60.000 ვერსი რომ გაიყვანონ, ამ 7—8 წლისგანმავლ ობაში, ყოველ წლივ 8.000 ვერსი უნდა აშენონ; ათას ვერსს 8 მილიონი ფუთი ლითონი და 1000 ინჟენერი სჭირდება... აქამდის რუსეთი ძლივს ახერხებდა წლიურად 1500 ვერსის გაყვანას. და აწი კი რვა ამდენის გაკეთება ეკისრება... ამიტომ როგორც ბარისოვის საბჭო, ისე სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების კომისია დიდ ფაცა-ფუცში არიან: უნდათ ახლავე გამოარკვიონ მაქსიმუმი იმ პირობათა, რომელთა გარეშე შეუძლებელია ამ დიადი ამოცანის გარდაწყვეტა.

რუსეთის მოხელეობა და საზოგადოება კი რკინის გზათა საკითხშიც ისევე დაშორებულია სისტემას და ორგანიზაციას, წესსა და წყობილებას, როგორც დაშორებულია ამას ეროვნულ ეკონომიკის და პოლიტიკის სხვა დარგში: რუსეთის პირველი რკინის გზა იმპერატორ ნიკოლოზ პირველმა ააშენა მით, რომ რუკაზე პირდაპი-

რის ხაზით მოსკოვი და პეტრეს ქალაქი შეაერთა და ბრძანა: „აქ უნდა ააშენოთო“... ამის შემდეგ რკინის გზები კონცესიურის წესით ეძლეოდა კერძო პირთ; მერმე აუქციონი და საჯარო ვაჭრობა შემოიღეს; შემდეგ „კეთილსაიმედო“ მწარმოებლების ძებნა დაიწყეს და მთელი საქმე რკინის გზათა დეპარტამენტს გარდასცეს; ახლაც, „კონსტიტუციის“ ჟამს, სახელმწიფო სათათბიროს და საბჭოს მხოლოდ იმ რკინის გზათა საქმეს ჰკითხავენ, რომელთაც სახელმწიფო ხარჯით აშენებენ; იმ გზების ბედი კი, რომლებიც კერძო საზოგადოებათ ეძლევა საობლიგაციო თანხის გარანტიით, სულაც არ ეკითხება „ხალხის წარმომადგენელთა“ კრებულს...

სახელმწიფო და კერძო წესის არევას თან სდევს სარკინისგზო პოლიტიკის ორმაგობაც: ჯერაც არ გამოურკვევიათ, თუ როგორ შეუთანხმონ ერთმანეთს საერთო სახელმწიფო და კერძო ადგილობრივი ინტერესი; სახელმწიფო ინტერესი მოითხოვს სახაზინო რკინის გზათა შემოსავლის უზრუნველყოფას და ამიტომ ეწინააღმდეგება მათ გასწვრივ ახალ, კერძო გზათა გაყვანას; ადგილობრივი ინტერესი კი მოითხოვს სხვა და სხვა ქალაქთა შეერთებას ახალი, უფრო მოკლე ლიანდაგებით, ესე იგი დროს და ხარჯის დაზოგვას...

უწინდელი მინისტრი რუხლოვი სასტიკად იცავდა სახაზინო რკინის გზათა ბიუჯეტს და ამიტომ ნებას არ რთავდა ახალ შემაერთებელ ლიანდაგების გაყვანისას...

ახლანდელი სამინისტრო, ბარისოვის პირით, ადგილობრივ ინტერესს აძლევს უპირატესობას და მთელი 67 ლიანდაგის აშენება განუზრახავს ტრანზიტის გასაადვილებლად...

მაგრამ დახეთ ფერისცვალებას: რუხლოვის უმადური როლი ახლა საოლქო სამხედრო-საარეწველო კომიტეტების კომისიას აუღია; მისი ხელმძღვანელი ინჟინერი ბუბლიკოვი ილაშქრებს სამინისტროს მიერ შედგენილ გეგმის წინააღმდეგ და ითხოვს, ადგილობრივი ინტერესი საერთო სახელმწიფოს დაემორჩილოსო, მისი აზრით არაა საჭირო ახალი გასწვრივი ლიანდაგების დაგება, არამედ საკმაოა ძველი, სახაზინო გზების გადაკეთება ამერიკულ ყაიდაზე, ესე იგი, მეორე და მესამე გზის გაყვანა არსებულ ნიადაგზე...

თუ მართლა ასეთმა თვალსაზრისმა გაიმარჯვა, რკინის გზები ვერასოდეს დაფარავს იმ ორ მილიარდ სარგებლის ხარჯს, რუსეთს რომ კისერზე აწევს; ახლა ყოველი ვერსი ახალ რკინის გზისა ძარღვია, რომელზედაც დაკიდულია ჯანსაღობა და ზრდა ეროვნულ ორგანიზმისა; საქმე ის კი არ არის, რომ არსებულ რკინის გზათა შემოსავალი დაიცვან, არამედ საქმე სახელმწიფოს დახსნაა.

განიმსჭვალებიან თუ არა რუსეთის მთავრობა და საზოგადოება ამ სახელმწიფო აზრით, ომის და ზავის გარეშე პირობებმა კიდეც რომ დააცალოს?

გრ. ვეშაპელი.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

გუშინდელ დღეს ბრძოლის ასპარეზზე არსებითი ცვლილება არსად მომხდარა. აღსანიშნავია, რომ გერმანელებმა სვისტელნიკის მიდამოს თავი მიანებეს და ახლა ისევ მდ. სტოხოდზე ამოქმედებულან. კოველის და ვლადიმირ-ვოლინის მიმართულებით რუსეთის ჯარი ძალიანაა შეჭრილი. კოლედინის ბრძოლის ხაზის ერთი წვერი კოველიდან დაშორებულია 30—35 ვერსზე. სოფ. სიტოვიჩი კი, სადაც ეხლა ეკვეთნენ გერმანელები უფრო შორსაა კოველიდან. მდ. სტოხოდზე დაწყებული ბრძოლა უპირველესად მუქარა იქნება კოლედინის მარჯვენა ფრთისთვის, რომელიც ამავე მდინარეს ეყრდნობა. გაძლიერდება თუ არა აქ დაწყებული ბრძოლა, ეს ჯერ-ჯერობით არავინ იცის. ჩვეულებრივი შეტაკებები ხდება აგრეთვე ტყიან კარპატებში.

რუმინეთის ასპარეზზე თითქმის ყველა მნიშვნელოვან მიმართულებაზე ავსტრიელები სასტიკ იერიშებს აწარმოებენ. მდ. ჟიუზე, სადაც ერთი კვირის წინეთ რუმინელებმა მოპირდაპირეს უკან დაახევინეს, ავსტრიელებს მაშველი ჯარები მოსვლიათ და ახლა თვითონ დაუწყვიათ შეტევა. თვით მთავარი შტაბი იუწყება: მოპირდაპირეს მაშველი ჯარები მოუვიდათ და ჩვენ იძულებული გავხდით გაჩერებულიყავით. მდ. ალიუტაზე კვლავინდებურად სასტიკი ბრძოლა გრძელდება. სამხრეთ ასპარეზზე მოპირდაპირე ქ. ჯურჯევოს საშინლად ყუმბარებს უშენდა. კარგა ხნობით გაყინული სამხედრო ასპარეზი მდ. დუნაის ნაპირებით, ამ უკანასკნელ დღეებში მოულოდნელად ახმაურდა. ძნელი წარმოსადგენია, რომ მოპირდაპირე სადმე ამ მიდამოში მდინარის გადალახვას აპირებდეს. ვფიქრობთ, რომ აქ უბრალო დემონსტრაციასთან გვაქვს საქმე. ამით მოპირდაპირეს სურს დააკავოს მდინარის ნაპირებზე მდგომი რუმინეთის ჯარი და დასახმარად გადაყვანის საშუალება მოუსპოს.

კავკასიის ბრძოლის ველზე ოსმალები ოგნოტასთან შეტევას განაგრძობენ.

X.

## ომის დეპეშები

27 ღვინობისთვე.

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. მდ. სტოხოდზე, სიტოვიჩის და ბოლოსის კუნძულის ახალშენის მიდამოებში მოპირდაპირემ ჩვენს თხრილებთან მოახლოვება სცადა, მაგრამ ბრძოლით მოვიგერიეთ. ტყიან კარპატებში, ტარტაროვას დასავლეთით ჰაერში ბრძოლა მოხდა. ჩვენი საფრენი ძირს დასცეს, მფრინავი პრაპორშ. ლაგუტენკო დაიღუპა. მეთვალყურე უნტერ-აფიცრის ვაიცმანის მდგომარეობა უიმედოა.

დორნა-ვატრას სამხრეთით ჩვენმა ჯარმა კიდევ წინ წაიწია ლამუნტელუს მთის სამხრეთით და დასავლეთით. აქ მდ. მესტერცეს ველამდე მიაღწია მემბორიდან ხოლომდე.

**კავკასიის ასპარეზი.** ოგნოტის მიმართულებით ოსმალებმა ერთი ბათალიონით შემოგვიტიეს, მაგრამ სროლით უკუ ვაგდეთ.

**რუმინეთი.** ტრანსილვანიაში პრედეალის და ალიუტას მიმართულებით მოპირდაპირე იერიშებს განაგრძობს. მდ. ჟიუს ველის აღმოსავლეთით გაძლიერებულმა მოპირდაპირემ შეტევა იწყო,

დუნაის ბრძოლის ხაზზე არსებითი არაფერი მომხდარა.

26 ღვინობისთვე.

**ბუქარესტი.** რუმინელების ოფიც. ცნობა 24 ღვინობისთვის თარიღით. ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთის ასპარეზი მოლდავის დასავლეთ მიჯნებზე მდგომარეობა არ შეცვლილა. ბუზეოს ველში, ტაბლაბუტელისა და ბრატოჩესთან ბრძოლა გრძელდება პრახოვის ველში მტრის იერიშები მოვიგერიეთ ბრძოლის ხაზის შუაგულსა და მარჯვენა ფრთაზე. ჩერბულუას ველის ჩრდილოეთით ბრძოლა გრძელდება. დრაგოსლავლის მიდამოებში ზარბაზნებით ბრძოლაა. მდ. ალიუტას მარცხენა ნაპირას მედგარი და ცხარე ბრძოლაა რაკოვიცელისა და ტიტეშტის მიდამოებში. მდ. ჟიუს ველში, რადგანაც მტერმა მაშველი ჯარი მიიღო, მისი დევნა შევსწყვიტეთ. ორშოვოში მდგომარეობა უცვლელია.

სამხრეთის ასპარეზი. დუნაის დასწვრივ ზარბაზნების სროლა გრძელდება. დობრუჯაში ჩვენმა მოწინავე რაზმები მოპირდაპირე უკან დასწიეს. მტერმა გადაბუგა სოფლები დაინი, გარლიჩი, რახმანჩი და გაი.

**ლონდონი.** საღამოს ოფიც. ცნობა საფრანგეთში მომქმედ ინგლისის მთავარ ბანაკისა. დღეს გერმანელებმა ძლიერი სროლა აუტეხეს ინგლისის ჯარის ბრძოლის ხაზს ანკრსა და სომას შუა, ლებეს (ლებეფი) და ლეზარის გარემოს.

**პარიზი.** ოფიც. ცნობა. სომას ჩრდილოეთის, ლებესა (ლებეფი) და სიიზელის შუა ცოტა წინ წავიწიეთ. შონის ტყესთან მტრის სანგრები ავიღეთ. სოფ. აბლენკური და პერსუარი ჩვენმა ქვეითა ჯარმა იერიშით აიღო. დავატყვევეთ 500 მეომარი, მათ შორის რამდენიმე აფიცერი.

27 ღვინობისთვე.

**ბუქარესტი.** რუმინელების მთავარბანაკის ოფ. ცნობა. ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთის ასპარეზი. მოლდავიის დასავლეთის საზღვარზე მდგომარეობა არ შეცვლილა. ბუზეოს ველში იერიში მივიტანეთ და ხელთ ვიგდეთ 88 ტყვე და ტყვიის მფრქვეველები. ტაბლაბუტელაში ხელთ ვიგდეთ ტყვიის მფრქვეველი. პრედეალთან მდგომარეობა არ შეცვლილა. პრახოვის ველში ძლიერი სროლაა ზარბაზნებისა. დრაგოსლავლის მიდამოებში მტრის იერიში მოვიგერიეთ. მდ. ალიუტას მარცხენა ნაპირას ცხარე ბრძოლაა. მდ. ჟიუს ველში მარჯვე შეჯახება მოვახდინეთ. ორშოვასთან მდგომარეობა არ შეცვლილა.

სამხრეთის ასპარეზი. მტერმა ჯურჯევოს ზარბაზნები დაუშინა. დობრუჯში მთელს ბრძოლის ხაზზე სამხრეთით წინ წავიწიეთ.

**პეტროგრადი.** მდ. ტორნეოს ადიდების გამო დროებით შეჩერებული ამანათების მიღება მტრის ქვეყნებში მყოფ ჩვენი ტყვეების სახელობაზე კვლავ განახლდა.

**ტოკიო.** იმპერატორი კიუ-სიუს კუნძულზე გაემგზავრა დიდ ალლუმზე დასასწრებლად.

**პარიზი.** საფოსტო გემი „არაბია“ 450 მგზავრით წყალქვეშამ დაღუპა. ამბობენ მგზავრები გადაარჩინესო.

**პარიზი.** (სწრაფი) ნიუ-იორკიდან დეპეშით იტყობინებიან: ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტად იუზი აირჩიეს.

**პარიზი.** მთავრობამ დაადგინა: ყველა მაღაზიები, აფთიაქებისა და სანოვაგის დუქნების გარდა, საღამოს 6 საათზე იკეტებოდეს, რათა სამხედრო ქარხნებისათვის მეტი ელექტრონის ძალა და გაზი დაიზოგოს.

**ლონდონი.** ლლოიდი იტყობინება: ამერიკის გემი „ლანას“-ი 15 ღვინობისთვეს დაიღუპა. 30 კაცი ნორვეგიის გემმა „ტროოპ“-მა ბარრში მოიყვანა.

**პარიზი.** დღის ოფიც. ცნობა. სომას სამხრეთით ღამემ წყნარად ჩაიარა. გერმანელები ზარბაზნებს უშენდნენ საი-სიზელ-აბლენკურის მიდამოს. გერმანელების 2 საფრენი ჩამოვაგდეთ პონტა-მუსონის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ერთი მათგანი ვიეველთან დაეცა, მეორე ვილენატოის მიმართულებით. 25 ღვინობისთვეს ფრანგმა მფრინავებმა ფრესკატში აეროდრომს 12 ფუთი ყუმბარები დააყარეს, ხოლო შამლეს სამხედრო სადგურს 70 ფუთამდე. ყუმბარები მიზანში მოჰხვდა.

მახლობელ აღმოსავლეთში, ბულგარელებმა ცრნის მახლობლად სამჯერ მოიტანეს იერიში სერბიელებზე, მაგრამ თავგანწირულის ბრძოლით მოიგერიეს.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**საბერძნეთი.**

თანდათან ირკვევა თუ საბერძნეთის მთავრობა გუნარისის და სკუდულისის ბელადობით როგორ ორმაგ და მოხერხებულ პოლიტიკას აწარმოებდა, ალბად გერმანეთის მთავრობასთან დადებულ ხელშეკრულობით შარშან მკათათვეში. გერმანელ-ბულგარელ-ბერძენთა შეთანხმება 18—24 ქრისტიშობისთვეს ათინაში შეავსეს, როდესაც იქ ვითომც მეფის სამკურნალოდ ჩავიდნენ გერმანელი მკურნალი პროფესორები კრაუსი და ეიზელბერგი. მათ თურმე დიდი პოლიტიკური საქმეები ჰქონდათ მინდობილი. კრაუსი ჯერ ვენაში ყოფილა. აქედან ეიზელბერგთან ერთად ბუქარესტსა და სოფიას სწვევია, სადაც უთათბირიათ მეფე ფერდინანთან და რადოსლავოვთან. კრაუსი და ეიზელბერგი ათინაში მეფის სასახლეში გუმან-აულებლად დაიარებოდნენ, როგორც მკურნალები და იქ თათბირი ჰქონდათ მეფესთან, დედოფალთან და გუნარის-სკუდულისის თანამოაზრე გერმანოფილებთან. როდესაც ეს ექიმ-პროფესორები ათინიდან წავიდნენ, გავიდა ორთვე ნახევარი და სკუდულისი უკვე შეუდგა მათთან დადებულ შეთანხმების განხორციელებას. ამ შეთანხმების დედა-აზრს შემდეგი საბუთიდანაც დავინახავთ, რომლებიც გაზეთ „პატრის“-შია გამომჟღავნებული:

**პირველი ბრძანება:**

„საიდუმლო. № 663. ათინა. 9 მარტი, 1916 წ. სამხედრო მინისტრისაგან მესამე და მეოთხე კორპუსის სარდლებს სალონიკისა და კავალის მეციხოვნე ჯარისას და მაკედონიის ჟანდარმერიას. 194 ნომრით გამოგზავნილ საიდუმლო ბრძანების შესავსებად, მოგიწერთ თქვენ, რომ უკეთუ მაკედონიაში უცხოეთის ჯარი შემოიჭრას, საფარი ჯარი მათი ადგილებიდან დასძარით და პოლკების სადგომებში გადაიყვანეთ. შემოჭრა მოსალოდნელია დოირანის და გევგელის სამხრეთით, სტრუმის ველში, ველესისა და ტეინგულის შუა და აგრეთვე ყარაჯოვის ოლქში. სტრუმის ველის შესახებ ვარაუდობენ, რომ საქმე ეხება სამხრეთ გამოსავალ გზას. ნაწილი თავს მოიყრის დემირ გისარსა და პორთიეში. რაც შეეხება იმას თუ როგორ უნდა მოიქცეთ, უკეთუ ბულგარელების ჯარი გამოჩნდა უგერმანელებოდ, გიპასუხებთ, რომ ეს შეუძლებელია მოხდეს. მაგრამ თუ მოხდა, შეჯახებას მოერიდეთ და ახალი განკარგულება მოგვეთხოვეთ. ეს ბრძანება ეხება ყველა ციხე-სიმაგრეებს, თუმცა ეხლა საქმე ეხება დოვა-ტეფეს, რუპელის და ფეპტრას სიმაგრეებს. თითოეულ ამ სიმაგრეთაგანში დასტოვებთ მხოლოდ ნახევარ ზვოდ ქვეითა ჯარს და რამდენიმე ჯარის კაცს არტილერიისას და საპიორის ორი აფიცრის ხელმძღვანელობით, რომელთა უნდა იცოდნენ ფრანგული ან გერმანული ენა, რათა ამ სიმაგრეებში საბერძნეთის სუვერენიტეტი დაიცვან. ჯარის-კაცთა შორის ბულგარულის მცოდნენიც უნდა იყვნენ. ამ რაზმებს მიწერ-მოწერით ექმნებათ კავშირი თავის დივიზიებთან. ისინი ყოველის ღონით უნდა შეეცადნენ, რომ ჯაშუშებს ალლო არ აეღებინონ. ჯარისაგან დაცლილ ადგილის ჟანდარმერია თავის ადგილასვე დარჩება და მხოლოდ საჭიროებისამებრ სიმაგრეებისაკენ დაიწევს.

უნდა კარგად გესმოდეთ, რომ მიუხედავად სიძნელისა, ყველანი ვალდებულნი ვართ სახელმწიფოს ნებართვას დავყვეთ, რათა უმა[illegible] ინტერესები უზრ[illegible] ხახი“.

**მეორე ბრძანება** 27 აპრილს გაგზავნილი, მას მერე რაც ფრანგებმა დოვა-ტეფეს სიმაგრეს დაეპატრონენ: „საიდუმლო ოქმი № 1228. ბრძანებანი №№ 194 და 663 უქმდება. ბრძანება № 744 ძალაში რჩება. უკეთუ გერმანელები ან ბულგარელები შეეცადნენ ჩვენს მიწა-წყალზე გადმოსვლას მოგერიებისთვის, ნება დართეთ. იმოქმედეთ ერთსულოვნათ ბულგარელების მიმართ, რათა განხეთქილება თავიდან ავიცილოთ. ერიდეთ პროვოკაციას და თუ კონფლიქტი მოხდეს, კორპუსებში ბრძანება გაეცით, საზოგადო ზომებს ნუ მიჰმართავთ და მყის ინსტრუქციები მოითხოვეთ. დოვა-ტაფეს გარდა ყველა სიმაგრეები ყოველის ძალღონით უნდა გაუმკლავდნენ შემოსეულ უცხოელებს (ე. ი. მოკავშირეებს), თუ სიმაგრეების დაპყრობა მოინდომეს. იანაკიტხახი“.

**მესამე ბრძანება** ეხება რუპელის ციხე-სიმაგრის გადაცემას. „თქვენის მოხსენებისა გამო № 1451 ბულგარელებისა გამოჩენის თაობაზე, ალასრულეთ ჩემი ბრძანება № 663, ხოლო სისრულეში ნუღარ მოიყვანთ ბრძანებას № 1226. მხოლოდ თავგამოდებითი პროტესტი განუცხადეთ უცხოეთის ჯარს. იანაკიტხახი“.

ასე ოსტატურათ უხვევდნენ, თურმე, თვალებს მოკავშირეებს საბერძნეთის დიპლომატები.

**ენის გაწმენდა.**

პრუსიის მთავრობამ საოლქო სამმართველოებს მიწერილობა დაუგზავნა უცხო სიტყვათაგან ენის განწმენდის თაობაზე, თან დაუგზავნა აგრეთვე ფილოლოგიურად დამუშავებული ლექსიკონი უცხო სიტყვათა შესაცვლელად როგორც რესტორანებში სახმარებელი, აგრეთვე სატექნიკო დარგებისა.

**ავსტრია-უნგრეთში.**

ავსტრია-უნგრეთის სამხედრო მინისტრმა განკარგულება გასცა, რათა შეადგინონ სიები 1899 წელში დაბადებულ ახალგაზდებისა, რომელსაც 1917 წ. 1 იანვარს ჯარში გაიწვევენ.

**საომარი მასალის გადმოზიდვა ამერიკიდან.**

ამერიკული გაზეთ „Armyand Nevy Journal“-ში მოთავსებულია ცნობები თუ შეერთებულ შტატებიდან რაოდენი საომარი მასალა გამოუზიდნიათ მეომარ სახელმწიფოებს. 1914 წლის 1 მარიამობისთვიდან 1916 წლის 1 მარიამობისთვებდე გამოუტანიათ სამხედრო მასალა 604, 614, 028 დოლარის ღირებულებისა (დოლარი 2 მან.) ამ წლის მკათათვეში კი 74 მილიონისა და 5583 დოლარისა. ამათგან თოფის პატრონა გამოუტანიათ 58.620,663 დოლარისა. თოფის წამალი 206 875,154 დოლარისა. სხვა ასაფეთქებელი მასალა 308.755,210 დოლარისა. თოფები და რევოლვერები 30.362,827 დოლარისა. ამ უკანასკნელ

# ფეხი იბრუნა

(მოთხრობა) *)

ესე ლა დაგვრჩა სანაცვლოდ
იმ იმედისა დიდისა.

11.

დიდი დღესასწაული იცის ელიაობამ იმ მხარეს. თუმცა მოუცლელ დროს მოდის ხატობა, გახურებული მკის ჟამს, მაგრამ ხალხი მაინც ბევრი აწყდება ღრუბელთა წინამძღვარის ნიშს: შეთქმული აქვსთ ხოლმე და ხატს არ ეღალატება, მერმე ისეთს ძლიერს, რომლის ხელშიც არის ჭირნახულის ბედ-იღბალი. გორაკის წვერზედა ბრძანდება იქ ელია, ძველის ძველ ეკლესიის ნანგრევებში დაუფანნია დალოცვილს. დახავსებული გელაზებით არის გარშემო მოფენილი შენობის ნაშთი. იქნება ოდესმე კერპთ საყუდარიც იყო იგი. მეორე ეკლესია აეშენებინათ იქვე, ძველი საყდრის გვერდზედ. მღვდელი რომ ახალ საყდარში სწირავდა, ხალხი ნანგრევ ყორეს ეტანებოდა; სანთელს ანთებდა იქ, ჩამწკრივებულ ლოდებსა ჰკოცნიდა: ხატის ძველის ძველი სავანე უფრო მადლიანი მიაჩნდა ხალხს, სინამ მისი ახალი ბინა, სხვა გემოვნებაზედ ნაგებ-ნახატი.

— შენა გგონია ხატი არ დასთმობს თავის ძველ სამყოფს და იგი ნანგრევები მოესწრებიან ახალი შენობის განადგურებასაც?

— შეიძლება! ხალხს მაინც ხომ სწამს, რომ ძველ ხატს და ძველ სამლოცველოს უფრო მეტი მადლი აქვს, ვიდრე ახალს.

მლოცავით იყო გაჟუჟენებული საყუდრის მიდამო. დაჩარდახული ურმები, დუშაყ გაყრილი ცხენები, სალმროთოდ მოლალული სიქონი; ხანში შესულნი ყავარჯნებით ხელში, მოსხეპილი ბიჭები სადღესასწაულო ტალავარში, სახრე რომ მაინც ვერ მოეშორებინათ ილლიიდან, ველის ყვავილივით აფერადებული ქალ-რძალი, კოლოტებივით ჩამრგვალებული ვაჭრები, ჰენჭი რომ გადასდიოდათ სახეზედ; შიგა და შიგ მოხელეები ბჭყვრიალ - ბჭყვრიალა ფოლაქებით; ჟულგა ჟულგა წვრილფეხობა და მათი ჟღივილ-ხივილი. განუწყვეტელი მოძრაობა იყო ხატის კარს და ხმაურობა საიმედო. პორფირეანთ ბინა ცაცხვის ქვეშ დაედვათ, საყდრის მოშორებით კარავი დაეკრათ. სამღვთოები დაეკლათ. მოჯამაგირეები ჲ დედაკაცები სადილის სამზადისს დასტრიალებდნენ. ჭრელ-ჭრელი ფარდაგები გაეშალნათ ჩრდილში. ხალიჩაც ეგო, მუთაქები ეწყო ზედ. ეს საკუთრად პეტრე იოსების ძისთვისა ჰქონდათ მომზადებული და მისი სახლობისთვის. თვალი გზისაკენ ეჭირა პორფირეს, მისი სახლობა კი წირვას ისმენდა ეკლესიაში. მისი ქალი ფეფიკო კეწკეწ კაბაში გამოწყობილიყო, თმა შეეწნა და შეეკეცა, ქალაქურ ჰანგზედ მოკაზმულიყო. ქალს გული არ უდგებოდა საყდარში, რამდენჯერმე გამოვიდა გარეთ, რომ დაეთვალიერებინა სტუმრების გზა.

— მოდიან! აგერ მოდიან! ეტლს ვილაც მოსდევს ცხენ და ცხენ,—გადმოსძახა მოჯამაგირემ პორფირეს.

— ჰო, მოდიან! ცხენოსანი ლადიკო არის, პეტრეს შვილი,—გაიმეორა პორფირემ

და გზისკენ გადადგა, რომ შეეყენებინა მომავალი ეტლი და მიებრუნებინა თავის ბინისაკენ. ფეფიკოც კარზედ იყო. უნდოდა იქვე გაჩერებულიყო და შეჰხვედროდა სტუმრებს, მაგრამ გული აუჩქროლდა, ვეღარ შეიკავა თავი და ისევ ეკლესიაში შებრუნდა, რომ დედისათვისაც ეხარებინა, ჩვენი სტუმრები მოდიანო. მაინც მოასწრო და მოჰკრა თვალი მშვენიერ ჭაბუკს, წერწეტად მჯდომს ბედაურზედ, და აიტკრიცა უნებლიეთ. კარგად იცოდა შეღერებულმა ქალმა თავისი მშობლების ოცნება ლადიკოს შესახებ, მიხვედრილი იყო იმასაც, რა დაფარული ზრახვა ჰქონდა ამ წვეულობასაც, რომლისთვის ესე ძალიან ემზადებოდა მისი დედ-მამა; თითონაც დიდად მოსურნე იყო გამხდარიყო წევრი იმ დიდებულ ოჯახისა, რომელზედ იმდენი კარგი ჰსმენოდა, ის ოჯახის შვილი ლადიკოც უებრო რაინდადა ჰყვანდა წარმოდგენილი და ამისთვის ვეღარ დაიჭირა გული გულის ალაგას, ვერ დაერია თავის თავს.

— წმინდაო ილიავ წინასწარმეტყველო! მამცნე შენი სახელის ჭირიმე, წინდაწინვე შემატყობინე, ჩემი ბედია ის მშვენიერი ჭაბუკი, თუ არა, მომიწონებს იგი, თუ არა. ძლიერი ხარ სასწაულთმომქმედი და მოაქციე ჩემსკენ მისი გულისყური, კეთილი თვალით აჩვენე ჩემი საწყალი თავი ლადიკოსაც, მის დიდებულ მშობლებსაც, რომ უკადრისად არ დამიჭირონ და განზედ არ გადგნენ ჩემგან, ევედრებოდა ქალწული ელიას

და უნდოდა კიდევ დაენთო მისთვის კელაპტარი, მაგრამ ვერ გაბედა ხალხში მეორედ წინ წადგომა; ეგონა გულუბრყვილოს, მლოცავნი მიმიხვდებიანო საიდუმლო სურვილს და გამკიცხავენო ამისთანა ძლიერ მისწრაფებისთვის.

— ვაი თუ თავი ვერ შევიმაგრო და მაშინვე ვაგრძნობინო ი მშვენიერ ვაჟკაცს, რომ შორიდგანვე ვარ შეყვარებული და მისი კერძი. როგორ შეიძლება შეიტყოს ეს?! სხვებიც ხომ მაშინვე იგრძნობენ ამას... გამიგია, გულცივნი არიანო ვაჟკაცნი, არ იციანო ნამდვილი გრძნობის ფასი და ვაი თუ მაშინ აღარ დააფასოს ჩემი სურვილი, აღარად ჩამაგდოს თითონ მეც. სჯობს მაგრა დავხვდე და გულგრილად.

— იცი, ფეფიკოჯან, ისე მეიქეცი, მითომ სრულებითაც არ ეხება მათი სტუმრობა შენს ბედს. უკმეხად კი ნუ დაჰხვდები, უზრდელობაში ჩამოგართმევენ, მაგრამ ნურც ფიანდაზად გაეშლები ფერხთ ქვეშ, არიგებდა ქალწული თავის თავს.

მაგრამ მაინც ეშინოდა: იცოდა რომ თუ გული აუძგერდებოდა და სისხლი აუთამაშდებოდა, ვეღარ დასძლევდა გრძნობებს და გადაშლიდა მათ სუნნადსუნელად, როგორც ვარდმან უნებლიეთ გახლიჩოს ალიონზედ კოკორი მთლად შევსებულ-მომწიფებული. აგერ ოთხი წლიწადი მეტი იყო, რაც სასწავლებლიდან გამოვიდა ქალი და თავისუფლად სცხოვრობდა კმაყოფილებაში. თითონაც ბუნებით ჯანსაღი გოგონა გაემთქვინებინა უზრუნველყოფას, ერთი ორად ექცია რჩეულ საზრდოს და სალ ჰაერს. შუათანა ტანის ქალი იყო ძვალსხვილი, ვკვიდრად ნაგები; კანში ვეღარ ეტეოდა კუბატივით ჩაკვრივებული; ლოყები წითლად ასქდებოდა ხორბლის ფერ ფუნთუშა სახეზედ. ღელავდა ქალწული, მადიანად ავარდნილი გულ-მკერდი ტალღასავით ქანაობდა გულისპირის ქვეშ.

სალი სურვილები ძვალითრბილამდის გასჯდომოდნენ სასძლოდ მოწიფულს და ბუნებითს გზას ელოდნენ ღვთისაგან ნაკურთხს, კაცთაგან დალოცვილს. ეს იყო უმთავრესი მიზეზი, რომ უცხო ჭაბუკის მათთან მასვლა ესრე საამოდ ათრთოლებდა მას. მაგრამ ძალიანა სცხვენოდა სურვილთა დაჩენისა. ბუნებით მოკრძალებულ ქალისათვის სკოლასაც ვერ მიეცა ხასი ქცევა, ხოლო სოფლად, თავშენახულ მთიელთა შორის, მთლადაც დაჰკარგოდა გამბედაობა, ერთობ კდემამოსილი შექმნილიყო, გადაჭარბებით. ძალიან უნდოდა ეხლა საყდრიდან გამოსვლა და სტუმრების გაცნობა, მაგრამ ვერ მოახერხა ფეხის გადადგმა, თითქო ზედ დაჰკროდა ფილაქანს; ვერც დაიძრებოდა ადგილიდ ნ, თუ დედას არ მოეკიდნა მისთვის ხელი და არ წამოეყვანა.

— წამო, შვილო, მივესალმოთ ჩვენ სტუმრებს, გავიცნათ! თურმე მოსულან, შენ კი არ მითხარი.

— ხალხით გაჭედილი იყო ეკლესია და ვეღარ მოვაღწიე შენამდის,—მიუგო ქალმა

და გაჰყვა დედას. გაიცნეს, მოიკითხეს, მობრძანება დაუმადლეს. პეტრეს ცოლი მედიდურად შეჰხვდა მასპინძელ მანდილოსანს, ოდნივ მიაკრა თითები ხელის ჩამორთმევის დროს. თითონ პეტრე კეთილი ღიმილით მიეგება დიასახლისს, გულსავსედ ჩამოართვა და დაუკოცნა ხელი, როგორც განათლებულმა მახლობელმა მოსიყვარულემ. ლადიკო ერთს ხანს მოწიწებით იდგა შორიახლო, რომ უფროსებს დაეთავებინათ გაცნობა და სალამი, მერმე მოხდენილად წარსდგა წინ ბიჯი და თათი დაუკოცნა პორფირეს მეუღლეს, ხოლო თითონ ფეფიკოს შეხედა აღტაცებით და ფაქიზად ჩამოართვა ხელი. სწორედ კარგი სანახავი იყო ამ დროს ქულაჯაში კოხტად გამოწყობილი თვალსაჩინო ჭაბუკი, შეგრეხილ ულვაშების ქვეშ საამოდ მოღიმარე. ქალს საოცნებო ბატონიშვილად მოეჩვენა ლადიკო, თავის ნატვრაში, რომ რ. ინდი ჰყვანდა დასახული, იმაზედ უკეთესად. მაშინვე გული შეჰვარდა მასზედ. რახან ვაჟი მოეწონა, მისი დედმამაც საუკეთესო ადამიანებად წარმოუდგა, ჰქვიანებად, კეთილებად. სტუმარნი მაინც წესისამებრ მხოლოდ საუკეთესო თვისებებსა ჰფენავდნენ თვის ხასიათისა, კეთილ მხარეებს თვისის ქცევისას. თითონ პორფირეს ოჯახობამაც კარგი შთაბეჭდილება მოახდინა სტუმრებზედ. იმათ ეგონათ სოფლის ხალხს შეჰხვდებოდნენ სუფთა ქცევიდან ჩამომხდარებს, განათლებულთა იერ დაკარგულებს; მართალია, შეძლებულებს, მდიდრებს, ქონებიანებს, გარნა თითონაც უკვე გაქონილ-გაპოხილებს; მათ კი თვალთ წინ წარუდგათ შეგნებული სუფთა ოჯახი, რომელს რაიმე ჩამორჩომა არ ეტყობოდა, აწ მათ გარემო მყოფებთან შედარებით მაინც. უამათ ამისთანა მასპინძლისას მისვლა. გუნება გაუღო მათ იმ გულწრფელმა შეგებებამაც, როგორც მიიღეს მოსულნი პორფირეანთ. პეტრე იოსების ძე ხომ აღტაცებაში მოვიდა, როცა ისევ მოჰყვა ბაღლობიდან ჩვეულ გარემოებებში, რაც აგერ ოცდა ხუთი წლიწადი იქნებოდა აღარ განეცადა.

ვ. ბარნოვი.

(შემდეგი იქნება).

*) იხ. „საქართველო“ № 239

7 თვეში ერთი ორად მეტი გამოუზიდნიათ ვიდრე შარშან მთელი წლის განმავლობაში და ოთხჯერ მეტი ვიდრე ომიანობის პირველი ხუთი თვის განმავლობაში.

**ომის გავლენა ფრინველებზე და ცხოველებზე.**

პ. ე. ვასილკოვსკის 18 ღვინობისთვეს, მოსკოვში საგულისხმო მოხსენება წაუკითხავს ბუნებისმეტყველთა საზოგადოებაში და სხვათა შორის უთქვამს: პერემიშლის მიდამოებში, ზარბაზნების საშინელი ქექა-ქუხილის დროს, ტოროლები და ბულბულები განუწყვეტლივ და თავგადაკვლით უსტვენდნენ. დამფთხალი ცხოველები და ფრინველები შორეულ მხარეს იხიზნებოდნენ. სამაგიეროდ ბრძოლის ველისკენ მიისწრაფოდნენ ყვავები, ჭილყვავები, ყორნები, სხვა მტაცებელი ფრინველები, მგლები, თაგვები, ვირთაგვები და სხვ.

# უკანასკნელი ცნობები

**საბერძნეთის გემის დაღუპვა**

გერმანულმა წყალქვეშამ გაუფრთხილებლად დაღუპა ბერძენთა წყალქვეშა „კიკლისე". დაიღუპა 15 კაცი.

**პოლონელთა გაჩხრეკა მოსკოვში.**

მოსკოვში პოლონელთა სამოქალაქო კომიტეტის თავმჯდომარეს, მესამე სათათბიროს ყოფილ წევრის გრაბსკის ბინა გაჩხრიკეს. საწინააღმდეგო ვერაფერი აღმოაჩინეს.

**სათათბიროს მოწვევის გარშემო.**

გაზეთებში მოყვანილი იყო ცნობა, სათათბიროს მოწვევა გადადებულ იქნებაო, ამის გამო როდზიანკომ ოფიციალურად განაცხადა, სათათბირო პირველ ნოემბერს გაიხსნებაო.

**საყოველთაო სწავლა**

სახალხო განათლების მინისტრმა გრაფმა იქნატიევმა კანონ-პროექტი შეიტანა საყოველთაო და სავალდებულო სწავლის შემოღების შესახებ.

**იაპონელთა ფული რუსეთში**

იაპონიიდან რუსეთში ჩამოიტანეს იქ შეკვეთილი 20 მილიონის ვერცხლის ფული. რუსეთში მოჭრილი ფულისგან იგი მხოლოდ იმით განირჩევა, რომ სახელმწიფო ღერბთან ორი ასოა: B. C., რაც იმას ნიშნავს, რომ ფული იაპონიაშია მოჭრილი.

# ახალი ამბავი

**ხახახლეში.**

✦ **მეფის ნაცვალს** დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს სადარბაზოდ წარუდგა 26 ღვინობისთვეს ნაშუადღევის 5 საათზე სახ. სათ. წევრი აკ. ჩხენკელი და მოახსენა მათ უმაღლესობას არტაანის ოლქში მოგზაურობის შედეგი და საერთოდ ბათომის ოლქის ომისაგან დაზარალებულ მცხოვრებთა მდგომარეობა. მოხსენების დროს დეესწრო მეფის ნაცვლის საბჭოს წევრი ბ-ნი ისტომინი. მეფის ნაცვალმა გულდასმით მოუსმინა დეპუტატს. დარბაზობამ 1 სათსა და 10 წუთს გასტანა.

**ქართული დაწესებულებანი.**

✦ **ახალციხის რაიონული განყ.** აცნობებს ქ. საქვ. საზ. გამგეობას რომ მრავალი გადმოხვეწილი ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა თავისას და შეხიზნულია ახალციხის მაზრას, ფოცხოვის ნაწილს ძ განიცდის უკიდურეს მდგომარეობას. მეტადრე ცუდ პირობებში უხდებათ ცხოვრება ქვრივ ქალებს. საჭიროა რაიმე დახმარება აღმოუჩინოთ მათ. შესაფერი თანხა კი ახალციხის განყოფილებას არ მოეპოვება. განყ. სთხოვს მთავარ გამგეობას გაუგზავნოს დასარიგებლად გადმოხვეწილთა შორის ან ფული, ან სანოვაგე, განსაკუთრებით პური. ზემო აღნიშნულ კატეგორიის გადმოხვეწილთა რიცხვი ასამდე ადის.

✦ **ქართ. ხელოვანთა საზოგადოებაში.** მომავალ წლის იანვრის პირველ რიცხვებში ქართ. ხელოვანთა საზოგადოება დიდ სამხატვრო სალამოს გამართვას აპირებს ახალ კლუბის დარბაზში. კვირას 30 ღვინობისთვეს საზ. გამგეობის სხდომაა დანიშნული იმის განსახილველად თუ რა ხასიათი მიეცეს ამ სალამოს.

✦ **სოხუმის რაიონულ განყ. გამგეობამ** აცნობა მთავარ გამგეობას, რომ საზოგადო კრებას, რომელსაც ბ-ნი ნ. თავდგირიძე თავმჯდომარეობდა, განხილულ და მიღებულ იქმნა კომისიის მიერ ანგარიშის განხილვის ოქმი და მოწონებულ იქმნა თავმჯდომარის აზრი იმის შესახებ, რომ მთავარ გამგეობისაგან გამოგზავნილი ფული მოხმარდეს, მხოლოდ საერთო ომიანობისაგან დაკავშირებულ მეომართა ოჯახების დახმარებას, განსაკუთრებით ლტოლვილთ. მომავალი მოქმედება-მოღვაწეობის გაფართოების გეგმა მიენდო არჩეულ გამგეობას. სხვათა შორის საზოგადო კრებამ დაადგინა აღმოუჩინოს დახმარება ქართველ მეომრებს, რომელნიც იმყოფებიან უცხოეთში ტყვეთ. შემდეგ მოხდა არჩევნები გამგეობის წევრებისა. გამგეობაში ახლად არჩეულ იქმნენ სევასტი რამიშვილი და იუსტინე ჩიქოვანი. დანარჩენი ძველი წევრები დარჩნენ.

✦ **საბავშვო წარმოდგენები.** ქართულ დრამატიულ საზოგადოების მსახიობთა დასმა თხოვნით მიმართა „ახალი' კლუბის" ადმინისტრაციას, რომ დაუთმოს კვირა-უქმე დღეებში დილ-დილით კლუბის დარბაზი საბავშვო წარმოდგენების გასამართად. როგორც გადმოგვცეს, ადმინისტრაცია თანაგრძნობით მიგებებია შუამდგომლობას.

**მთავრობის დაწესებულებანი**

✦ **მეფის ნაცვლის საბჭომ** დაადგინა 26 ამა თვეს: მიხეილის საავადმყოფოს შესაკეთებლად გადაიდვას 17.300 მანეთი, იმავე საავადმყოფოს ქალთა ფსიხიატრულ განყოფილების მოსამსახურე ქალებისათვის 765 მან. და განჯის გუბერნატორს მიეცეს გუბერნიის რამდენიმე ადგილას სატუსაღოების მოსაწყობად 23.234 მან.

✦ **თბ. სასულიერო სემინარიის რექტორს** დეკ. კ. კეკელიძეს თბ. გუბერნატორმა ნება დართო 2 გიორგობისთვეს არტისტიულ საზოგადოების დარბაზში წარმოდგენა გამართოს ღარიბ სემინარიელთა სასარგებლოდ.

✦ **თბ. გუბერნატორმა ნება დართო** ქალთა მეორე გიმნაზიის მშობელთა წრის საბჭოს 28 გიორგობისთვეს წრის თანხათა გასაძლიერებლად დასდგას წარმოდგენა საარტისტო საზოგადოების დარბაზში.

✦ **კავკ. სამოსწავლო ოლქის უფროსმა** ბელაგორის პირველ დაწყებით უმაღლეს სკოლის ინსპექტორად დაამტკიცა ტრიფონ თაბუკაშვილი, რომელიც განჯაში მსახურებდა.

✦ **ფეხსაცმლის დამზადება.** თბ. საგუბერნიო გამგეობაში შესდგა კრება, რომელმაც გადასწყვიტა დაარსდეს საზოგადოება, რომელიც დაეხმარება მსურველს ტყავეულობის მასალის შესასყიდად და ფეხსაცმლის შეკერვასა და დაკერებაში.

„**კრუჟოკის**" წევრთა საზოგადო კრებამ დაადგინა დროებით თბილისში მყოფ სტუდენტობას თვეში 3 მანეთამდე გადაახდევინოს შესვლის ფასი, ხოლო სამხედრო პირთ 5 მანეთამდე.

✦ **მუშათა საკვებ კომიტეტში.** 26 ღვინობისთვეს საფაბრიკო ინსპექტორის ბ. სუშჩევსკის თავმჯდომარეობით თბ. მექარხნე და მრეწველთა კრება შესდგა. კრებას მოხსენდა, რომ მუშათა სასადილოს დაარსებას ორი უმთავრესი გარემოება აფერხებს: რკინის გზების დაბანდება სამარ საჭიროებისათვის და სანოვაგისათვის საჭირო საწყობების უქონლობა. ამ მიზეზთა თავიდან ასაცილებლად კრებამ დაადგინა იშუამდგომლოს საჭირო ვაგონების დათმობის შესახებ და ყოფილ კონიაკის ქარხნის შაგრიარსკის სარდაფების აღება. კრებას მოხსენდა აგრეთვე საანკეტო ფურცლების შინაარსი სასადილოს დაარსების შესახებ სამრეწველოების და ქარხნების გამგეთაგან და მუშებისაგან მიღებული. თანახმად ანკეტისა ამ დაწესებულებათა პატრონნი ჰპირდებიან დახმარება აღმოუჩინონ ფულით, ბინით, განათებით და სხვ. რაც შეეხება მუშებს, ერთმა ნაწილმა განაცხადა ცხელი კერძის მიღება. მაჰმადიან მუშებმა კი მოითხოვეს, რომ სანოვაგე მათ მიეცეს მოუხარშავი. დანარჩენ მუშებმა გადაწყვეტილი აზრი არ გამოსთქვეს. ამ ანკეტის მოსმენის შემდეგ საჭიროდ სცნო კრებამ სამაგალითო სასადილოს დაარსება. დაარსების შემდეგ გამოირკვევა ვის რა ნაირად შეეძლება დახმარების აღმოჩენა. ამ სასადილოს მოწყობა დაეკისრა საგანგებო კომისიას. კომისიაში არჩეულ იქმნენ: თავმჯდომარეთ დ. ი. სუშჩევსკი, მის მოადგილეთ ა. ა. ენფიანჯიანცი და მ. ა. მილოსლოავსკი, ხოლო წევრებად: ა. ნ. ალექსანდროვი, ა. ფ. ანდრეევი, მ. ე. ლაღიძე, ა. ი. ლიბერმანი, კ. ი. პარრა და ვ. ი. წოვიანოვი.

**ქალაქის დაწესებულებანი.**

✦ **დაფახების რეორგანიზაცია.** მომავალ კვირაში ქალაქის გამგეობა მოიწვევს საბიუჯეტო-საფინანსო, სარევიზიო და აღმასრულებელ კომისიებს, რომელთანაც თათბირი ექნება თბილისის უძრავ მამულების დაფასების რეორგანიზაციის შესახებ.

✦ **მ. ა. ჯაბარს**, თბილისის ქალაქის გამგეობის წევრს, რომელმაც გამგეობას სთხოვა, რომ სასურსათო განყოფილების ხელმძღვანელობისაგან გამანთავისუფლეთო, გამგეობამ სთხოვა არ დაეტოვებინა ეს საქმე ასეთ გაჭირვებულ დროს და ისიც დასთანხმდა.

**სომეხთა შორის.**

✦ **გადმოხვეწილთა გაჭირვება.** ქალაქთა კავშირის განყოფილებას ატყობინებენ იგდირიდან, რომ გადმოხვეწილი სომხები დიდ გასაჭირს განიცდიან სურსათისა და სამოსლის უქონლობის გამო და ფიცხელი დახმარებაა საჭიროვო. ბევრნაირი სენიც გავრცელებულა მათ შორის.

✦ **სათესლე და საკვები მასალის მიცემა.** ბაქოილ სომეხთა საზოგადო ორგანიზაციებს გადაუწყვეტნიათ ღირებულობის კვალობაზე დაუთმონ ხორბალი განჯისა, ერევანისა და ყარსის 1000 სოფელს.

✦ **სენატორი ნ. დ. ჩაპლინი** ნახა სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებისა და ცენტრალ კომიტეტის თავჯდომარემ არუთინოვმა და მოკლე ანგარიში წარუდგინა სომეხ ლტოლვილთა, თავშესაფართა და სკოლების შესახებ. თავშესაფარში მოთავსებული ყოფილა 7.000 კაცი, სწორედ იმდენი, რამდენისთვისაც ფულები ეძლევათ, სკოლებში კი ნაცვლად 9000-სა მოთავსებული ყოფილა 20.000 ბავშვი. სენატორმა დახმარება აღუთქვა ტატიანას კომიტეტის მხრივ და შეჰპირდა, რომ სკოლებსა და თავშესაფარებს დავათვალიერებო.

✦ **ახალი გაზეთი.** გუშინ გამოვიდა ახალი ყოველდღიური სომხური გაზეთი „ხაირენიკ" (სამშობლო). ოფიციალურ რედაქტორად დანიშნულია მუგდუს აკოფოვი.

**სხვა და სხვა ამბები.**

✦ **თ-დ კონ. აფხაზის არჩევა სახელმწიფო საბჭოს წევრად.** პეტროგრადიდან შემდეგი დეპეშა მოგვივიდა: „უზომოთ მოხარული ვარ შეგატყობინოთ, რომ რუსეთის თავად-აზნაურობის განსაკუთრებულის ყურადღების წყალობით ქართველობას მიენიჭა კიდევ ერთი სავარძელი სახელმწიფო საბჭოში: არჩეულ იქმნა თავადი კონ. აფხაზი". დიმიტრი ჩოლოყაშვილი.

✦ **თავ. კ. ნ. აფხაზს**, რომელიც სახელმწიფო საბჭოს წევრად იქმნა არჩეული, აუარებელი მისალოცი დეპეშები გაუგზავნეს თბილისიდან. სხვათა შორის, დეპეშები გაუგზავნეს: ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა და ქალაქის გამგეობის წევრებმა, ერობათა კავშირის კავკასიის განყოფილებამ, თავად-აზნაურთა საკრებულოსთან არსებულმა საერობო ბიურომ, კერძო პირებმა და სხ.

✦ **ამინდი.** ხანგრძლივ წვიმების შემდეგ, როგორც იქმნა, გამოიდარა თბილისში და სასიამოვნო მზე გამოვიდა.

✦ **სახალხო თეატრი.** დღეს საღამოს სახ. სახლ. არს. ქართ. წარმოდგენების მმართველ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება მოლიერის კომედია „ტარტიუფი". დასაწყისი სალამოს 8 საათზე. ადგილების ფასი 10 კ.—54 კ.-მდე.

✦ **მომხმარებელ ამხანაგობას „შრომას"** გამოწერილი აქვს და ჩქარა მიიღებს 10 ვაგ. სიმინდს, 4 ვაგ. ბზე, 2 ვაგ. თივა, 1 ვაგ. კარტოფილი. ამხანაგობა აგრეთვე ცდილობს და იმედი აქვს შეიძინოს: ხახვი, ქატო, ქერი, შეშა, ნახშირი და სხ.

**ქუთაისი.**

ქალაქის სანიტარულმა კომისიამ რიონის გაღმა ყველა თავლები დაახურვინა.

— ქალაქის სასანიტარო ექიმმა ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზს გიორგის თხოვნით მიმართა, განკარგულება გასცეს, რომ სამღვდელოებამ ხალხი დაარიგოს, თუ როგორ უნდა აიცდინონ თავიდან ხოლერა.

— უკანასკნელ კვირის განმავლობაში ქალაქში ძლიერი ქარი ჰქრის. ბევრ სახლს სახურავებიც კი აგლიჯა.

— ქალაქის გამგეობამ განკარგულება გასცა სახლის პატრონებისა და მედუქნეების მიმართ, იყოლიონ მეეზოვეები.

— ქალაქის სასურსათო კომისიის გამოანგარიშებით ამ ჟამად ქუთაისში სიმინდი მოიპოვება სულ 17,000 ფუთი, ხოლო პურის ფქვილი კი 1000 ფუთამდე.

— 27 და 28 ღვინობისთვეს გაიმართება კ. ფოცხვერაშვილის სიტყვა-მუსიკობა.

**ფოთი.**

კვირას, 30 ღვინობისთვეს, გაიმართება ილიკო ქურხულის ლექცია-დილა. ეს ლექცია უნდა ყოფილიყო 23 ღვინობისთვეს, მაგრამ ამ დღისათვის გადაიდო. ბ-ნი ქურხული წაიკითხავს თავისს შთაბეჭდილებას „მოხეტიალე მუსიკოსის ნაწერებიდან" და „სკრიპკაზე" დაუკრავს მსოფლიო მუსიკოსების ნაწარმოებს.

**გორი.**

— **თავდასხმა.** სოფ. რონში უცნობი პირნი შეუცვივდნენ ადგილობრივ მცხოვრებ ნ. ჯაბიევს და 800 მანეთი ნაღდი ფული წაართვეს.

— **გვამის პოვნა.** 18 აპრილს აქეთ უკვალოდ დაიკარგა საქონლის მოვაჭრე ნ. გადოევი, რომელსაც ზედ 500 მან. ფული ჰქონიყო. სამაზრო პოლიციამ ამ ჟამად აღმოაჩინა გახრწნილი გვამი ს. გვარებთან ახლოს. გვამიდან მხოლოდ ძვლებიღა დარჩენილიყო. მოკლულის ძმამ ა. გადოევმა ტანისამოსზე იცნო, რომ ეს გვამი მისი ძმისაა და როგორც გაჩნდა თავის ქალიდან სჩანს იგი ჯერ მოუკლავთ და შემდეგ ფული წაუღიათ..

**დ. ზესტაფონი.**

— შაბათს, 29 ღვინობისთვეს ჩვენი ცნობილი კომპოზიტორი ბ. კ. ფოცხვერაშვილი მართავს სიტყვა-მუსიკობას (ლექცია-კონცერტი) ზესტაფონის საკრებულო დარბაზში.

— ადგილობრივ საქველმოქმედო საზოგადოებას მოსდის ცნობები გაჭირვებულ ოჯახებსა სასურსათო შემწეობის აღმოსაჩენად. გამგეობამ სთხოვა ქუთაისის განყოფილებას რამდენიმეთ ფულად შემწეობა აღმოუჩინოს ზესტაფონის განყოფილებას იმ 60000 მანეთიდან. რომელიც გადასცა ბ გუბერნატორმა.

# ვალერიან გუნიასთან

ვ. გუნია თავს გაცილებით უკეთ გრძნობს. ექიმები კვლავინდებურად გულმოდგინებით დაიარებიან და ყოველგვარ ზომებს ხმარობენ მალე განკურნონ სენისაგან. ავადმყოფი დილის 10—11 საათზე ლოგინიდან დგება და ოთახში დაიარება... ჯერ-ჯერობით ავადმყოფი საგრძნობლად სუსტია.

საჭმელები ამდენი ხანი აკრძალული ჰქონდა, ეხლა ნება დართეს ექიმებმა, მაგრამ თვითონ ავადმყოფს ჭამის მადა არა აქვს.

ვ. გუნიას აზრადა აქვს, ცოტა მოკეთდება თუ არა, ხელ-მეორეთ ოპერაცია გააკეთებინოს. ავადმყოფი საზოგადოების დიდი მადლობელია ასეთი ყურადღებისთვის—მდაბიო ხალხი, რომელნიც არც კი მიცნობდნენ, ავადმყოფობის დროს სიტყვიერათ თუ წერილობით მამხნევებდნენ და მისურვებდნენ მალე განკურნებასო.

გ.

# თ. ჟორდანიას გარდაცვალების გამო

**სამძიმრის დეპეშები**

**ფოთიდან:** მხურვალედა ვსტირი უდროვო გარდაცვალებას თვალსაჩინო ქართველისა, ისტორიკოს-არქეოლოგოსის თევდორე ჟორდანიას გარდაცვალებას. ვევედრები უფალსა საუკუნო განსვენება დაუმკვიდროს მისს სულს. ვსწუხვარ, რომ არ ძალმიძს დავესწრო დაკრძალვას.

ეპისკოპოსი ლეონიდე.

—

**ქუთაისი:** (განსვენებულის შვილის გიორგი ჟორდანიას სახელობაზე მოსული) თანამოზიარე ვარ თქვენის მწუხარებისა. ვევედრები უფალსა სასუფეველი დაუმკვიდროს ძვირფას ამხანაგს სკოლისას და მეგობარს თევდორე დავითის ძეს. ვსწუხვარ, რომ არ შემიძლია დაკრძალვას დავესწრო და უკანასკნელი ვალი მოვიხადო მიცვალებულის წინაშე.

—

**ქუთაისიდან:** იმერეთის საეპარქიო სამოსწავლო საბჭო ღვთისადმი აღავლენს თვისს ვედრებას და სამძიმარს აცხადებს ღვთის ყანაზე ნაყოფიერისა და დაუმაშვრალის მუშაკის თევდორე ჟორდანიას გარდაცვალების გამო.

საბჭოს თავმჯდომარე დეკანოზი ჭეიშვილი

—

**პეტროგრადიდან:** ქართველთა კოლონიამ ალექსანდრე-ნეველის ლავრაში განსვენებულის სახელოვან ისტორიკოს-არქეოლოგოსის თევდორე ჟორდანიას სულის მოსახსენებლათ ქართულად პანაშვიდი გადაიხადა და აცხადებს თავისს გულითადს მწუხარებას, რომ სამშობლოს ასეთი ძვირფასი შვილი დააკლდა.

ალექსანდრე ქორქაია.

—

**დ. ზესტაფონი.** მწარედ დავსტირი ჩინებულის ისტორიკოს-არქეოლოგის უძვირფასესის მასწავლებლის თევდორე ჟორდანიას გაცივებულ გვამს. საქართველომ დაჰკარგა დიახ საუკეთესო, უნიჭიერესი დაუღალავი მუშაკი, ღრმად მეცნიერულად განსწავლული მოღვაწე.

საქველმოქ. საზ. ზესტაფონის განყოფ. მონდობილობით **მღ. კ. ანთაძე.**

—

თ. ჟორდანიას ცხედარი დამკრძალველმა კომიტეტმა და მისმა პატივისმცემლებმა სოფ. კასპიდან რკინის გზით 26 ღვინობისთვეს დილით თბილისის სადგურზე მოასვენეს ნაშუადღევის 4 საათზე. სადგურზე ყოვლად სამღვდელომ ეპისკოპოსმა ანტონიმ თბილისის სამღვდელოების თანამსახურებით პანაშვიდი გადაიხადა მიცვალებულის კუბოზე. სადგურიდან მიცვალებული მოასვენეს ქვაშვეთის ეკკლესიაში,—სადაც დანიშნული იყო სასულიერო სემინარიის პანაშვიდი. პანაშვიდი გადაიხადეს ეგზარხოსმა პლატონმა და ეპისკოპოსმა ანტონმა არქიმანდრიტის ნაზარის, სემინარიის რექტორის კ. კეკელიძის და თბილისის სამღვდელოების თანამსახურებით. გალობდა სემინარიის ხორო. პანაშვიდს დიდძალი საზოგადოება დაესწრო. სხვათა შორის იყვნენ: ნ. ნიკოლაძე, ქუთაისის ქალაქის თავი ილ. ჩიქოვანი, თბ. ქალ. გამგეობის წევრი გ. ჟურული და სხ.

—

მიცვალებული დასვენებულია ქვაშვეთის ეკკლესიის ქვედა სართულში. პანაშვიდებს იხდიან ყოველდღე საღამოს შვიდ საათზე.

—

თბ. საეპარქიო საქალებო სასწავლებლის მასწავლებელთა და აღმზრდელთა კორპორაციამ დაადგინა დაესწროს განსვენებულის დასაფლავებას დიდუბეში.

—

ბ-ნმა იონა ავალიანმა 25 მანეთი შესწირა ქართველ მოღვაწეთა აგარაკის ასაშენებელ ფონდისათვის ნაცვლად გვირგვინისა, რომლითაც განსვენებულის კუბო უნდა შეემკო. ამავე დანიშნულებისათვის 25 მანეთივე შემოსწირა განსვენებულის შვილმა გ. ჟორდანიამ.

—

**სოფ. კასპი.** 25 ღვინობისთვეს ადგილობრივმა მღვდელმა მამა სვ. მაჭარაშვილმა სკოლის მასწავლებლებისა და მოწაფეების თანადასწრებით პანაშვიდი გადაიხადა თ. ჟორდანიას სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის შემდეგ მამა მაჭარაშვილმა სიტყვა წარმოსთქვა, სადაც დაახასიათა განსვენებული, როგორც ძვირფასი მასწავლებელი და სათნო, მოყვასთათვის თავდადებული ადამიანი

—

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭომ გადასცა თ. ჟორდანიას დამკრძალველ კომიტეტს ათი თუმანი განსვენებულის ხსოვნის პატივსაცემლად. ხსენებულმა საბჭომ დაადგინა დაესწროს განსვენებულის პანაშვიდებსა და დაკრძალვას.

—

**ქუთაისიდან** რედაქციას ყოვლად სამღვდელო გიორგისაგან მოუვიდა ათი თუმანი თ. ჟორდანიას დამკრძალველ კომიტეტისათვის.

# თ. დ. ჟორდანია

მე რომ სემინარიის პირველ კლასში შევედი (1873 წ.), თ. ჟორდანია მეოთხე კლასში იყო. პირად მისი გაცნობა არ მომიხდა, თუმცა მის კურს გათავებამდე სამი წელიწადი ერთად დავყავით სემინარიის კედლებ შუა. შორიდან კი მას კარგად ვიცნობდი.

მაშინ სემინარიის უფროსს კლასელებ შორის იმართებოდა პაექრობა სხვა და სხვა თემაზე. კამათის საგნად გახდებოდა ხოლმე რომელიმე ფილოსოფოსის ან გამოჩენილ კაცის რაიმე ნასიბრძნი. გაცხოველდებოდა რა ბაასი და პაექრობა, ერთისა თუ მეორის მხრიდამ გადმოდიოდა კანტი, ფიხტე, დარვინი, სპენსერი, ბოკლი, გიუგო, არისტოტელი, სოკრატი ან ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, ბაკუნიანი, პისარევი, ილია, აკაკი, პლ. გაბრიელი, შოთა, იოსელიანი და სხ. მოზარდთა შეყოლა სწყვავდა და ჰპენტავდა ამისთანა დიდ-დიდ სა ხელებს, ავტორიტეტებს.

პირისპირ შემბმელი ორი იყო, მაგრამ ორივეს ჰყავდა ... რეები, რომელნიც ... ჰშველოდნენ თავისს ბელადს ტექსტების მოგონებით თუ სხვაფრივ.

პაექრობა ჩვეულებრივ იმართებოდა სადილის შემდეგ და რომ გაცხარდებოდა, სემინარიის შენობას ზანზარი გაჰქონდა ერთის მხრით ორატორების სიცხარისა გამო და მეორეს მხრით მოძრაობისა გამო სემინარიელებისა, რომელნიც მოისწრაფოდნენ მპაექართა ყურის დასაგდებად.

კაი მპაექარად ითვლებოდნენ კვანჭახიძე, მ. ილურიძე, დ. ალადაშვილი, შ. შიუკაშვილი, თ. ჟორდანია, გ. სადაგლიშვილი, ნ. ლომაური, უთურგაური და სხვ.

პაექრობას ხელს უწყობდნენ მასწავლებელნი იოსელიანი, ცხეთაძე, ტურიაშვილი, ცვეტკოვები, გოგებაშვილი, რადგან ცხადად ხედავდნენ ამგვარ პაექრობის სარგებლობას: მით მოსწავლენი ეცნობებოდნენ მეცნიერების შეხედულებას ღმერთსა და მსოფლიოზე და ეჩვეოდნენ სამჭერმეტყველო ხერხს, იძენდნენ დაკვირვებას, სიმხნევეს, სამშობლო ქვეყნის ჭირვარამის ცოდნას და სხ.

ამისთანა კეთილმა საქმემ, ჩვენის ფიქრით, დაუდო საფუძველი მომავალ შრომას იგეთ მაშინდელ სემინარიელებისას ვით ეპ. კირიონი, ს. მგალობლიშვილი, ნ. ლომაური, თ. ჟორდანია, ა. ნატროშვილი, ვ. ბარნოვი, მ. ილურიძე და სხვ.

ვიმეორებ, ამ პაექრობის დროს შორიდან გავიცანი თედო. იგი იშვიათად პაექრობდა, მაგრამ ყოველთვის სიმხნით, გაბედულად, ყველანი აქებდნენ მას, როგორც საკმაოდ განვითარებულს ახალგაზრდას.

სემინარია დაამთავრა 1875 წ. და იმავე წელს შევიდა მოსკოვის სასულიერო აკადემიაში. იქვე მაშინ სწავლობდა ჩემი ბიძაშვილი ცნობილი დ. ჯანაშვილი. ამასთან ხშირი მიწერ-მოწერა მქონდა, და იგი თავის წერილებში ქებით იხსენიებდა თ. ჟორდანიას და იქვე მოსწავლე ქარ. უგრელიძეს.

ამ მიწერ-მოწერამ შეამზადა ქართველი სამღვდელოება, რომელმაც ახალ კურს დასრულებული თედო ჟორდანია ამოირჩია ზედამხედველად თფ. სას. სასწავლებლისა (1879 წ.). მის ამორჩევას ხელი შეუწყო ნ. ნიკოლაძის „ობზორმაც" და აგრეთვე ი. მეუნარგიამ.

სკოლის საქმეს კარგად აწარმოებდა, რადგან სარგებლობდა თავის მეგობრის ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის მიხ. ასათიანის გამოცდილებით,

სამწუხაროდ, იგი დიდხან არ დარჩა აქ: ფაორსკის ადგილი გაუცვალა და გადავიდა თბილ. სასულიერო სემინარიაში. აქ ჩააბარეს მას ქართული ენის მასწავლებლობა, მაგრამ ამ ენას, მთავრობის პროგრამის ძალით, ასწავლიდა რუსულ ენის შუამავლობით ისე, ვით ისწავლება ლათინური თუ ბერძნული. მიუხედავად ამისა, მასში თავიდგანვე ბუდობდა ღვთიური ნაპერწკალი, რომლის მეოხებით შესძლო აღეზარდა მრავალი საფუძვლიანი მცოდნე ქართულ-მეტყველთა და საქართველოს მოყვარე მოღვაწეთა.

ამასთანავე იგი მუშაობდა წ. კ. ბიბლიოტეკაში და აგრეთვე საეკლესიო მუზეუმში, რომლის გამგედაც იყო 1889 წლიდამ 1896 წლამდე. შემდეგ იგი ინიშნება სამრევლო სკოლების ზედამხედველად და აქაც, მიუხედავად სიძნელისა, სცდილობს ქართულ ენას გაუხსნას გზა ფართო.

მისი გულითადი საქმე და მოწოდება კი იყო სამეცნიერო მუშაობა. დიდი ღირსებისაა მისი „დავით გურამიშვილი და მისი დრო", „იოსებ სამებლი", „ისტორიული ოფოფები", ორ ტომად დაბეჭდილი მისი ქრონიკები და სხვ. მასალები, რომელიც სახელდახელო წიგნად გახდა საქართველოს წარსულის შემსწავლელთათვის. ამგვარივე მნიშვნელობისაა მის მიერ შედგენილი საეკლესიო მუზეუმის კატალოგი, რომელშიაც აღწერილია 800 ხელნაწერი.

ამ რამდენიმე დღის წინად ჩვენთან იყო თედო და დიდის იმედებით ლაპარაკობდა თავის მომავალ მუშაობაზე. მინდა კიდევ ვიცოცხლო, რომ განვაგრძო ჩემი ქრონიკები და ორიოდე „ისტორიული ოფოფები" მიუძღვნა საქართველოს წარსულის დამმახინჯებელთაო.

მ. ჯანაშვილი.

# მიუხედოთ, მივეშველოთ!

### სოფლის დღევანდელი ვითარება

უკვე მესამე წელიწადია, რაც უმაგალითო და საზარელი ომია. ადამიანთა მსხვერპლს ბოლო არ უჩანს. რამოდენისამე წლობით ნაშენები და ნაშრომ-ნაღვაწევი საათობით და წუთობით იმსხვრევა; ყველგან სისხლის გუბეები სდგას. ჯერ კიდევ არავინ იცის, თუ რამდენ ხანს გასტანს ეს სასტიკი ომი. სოფელი დაცარიელდა, მას უკანასკნელი მარჩენალი ხელიც გამოაცალეს, ბრძოლის ველზე გაიწვიეს და დასტოვეს იგი სრულიად უპატრონოდ. დღეს სოფელს სამოც-ოთხმოცი წლის მოხუცი ან და ათი თორმეტი წლის ბავშვი პატრონობს. მუშა ხელი არ არის, და შემოდგომაზე კეკლუცს და მხიარულს სოფელს დღეს მოწყენილს ვხედავთ. არ არის ძველებური მოძრაობა, მეტი ნაწილი ჩვენი დოვლათიანი მიწებისა სახარას ხრიოკ უდაბნოს უფრო ჰგვანან, ვიდრე საქართველოს მოსავლიან ადგილებს. ეს ყველაფერი მუშა ხელის ნაკლებობის ბრალია. ვინ არის თავდები, რომ გაისად უფრო ცუდი დღე არ დაადგება ჩვენს სოფელს. რა უნდა ვიზრუნოთ, ვის უნდა მივმართოთ, რომ ვინც დარჩნენ, ისინი მაინც დასტოვონ და არ მოუსპონ სოფელს ყოველგვარი საშუალება არსებობის. ეს მეტად რთული საკითხია და მასთან სადღეისოც, ამას უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება; სოფელი სულს ღაფავს, შველას თხოულობს. თუ ვართ მისი მშველელი, დროზე უნდა მივეშველნეთ. ამისათვის თავი უნდა შეიწუხონ ჩვენმა საზოგადო დაწესებულებებმა და, სადაც ჯერ-არს, შუამდგომლობა აღძრან, რომ სოფელს ცოტა შეღავათი მისცენ, არ გამოაცალონ მას უკანასკნელი ყავარჯენი სანამ მთლად არ წაქცეულა იგი, თორემ ერთხელ წაქცეული ძნელად თუ წამოდგეს.

მუშა ხელის ნაკლებობა მეტის-მეტად ემჩნევა იმერეთსა და სამეგრელოში, ყველგან გხვდებათ დაუმუშავებელი მიწები. მიწა, რომელიც წარსულ წლებში საუკეთესო მოსავლიან ადგილებად ითვლებოდა, წრეულს პირუტყვების სათარეშო მოედნად გადაქცეულა.

ჯერ ისედაც სუსტია ჩვენი მეურნეობა. მამა-პაპათა დროის სამუშაო იარაღს დღესაც ვერ გავცილებივართ, და რა უნდა მოგვივიდეს მაშინ, როდესაც ამ იარაღის პატრონს და მომხმარებელს ბრძოლის ველზე გაიწვევენ. ნუ თუ ოჯახი სრულიად უნდა გამოიკეტოს?

გული გიწვის ადამიანს, როდესაც რამოდენისამე ქცევა რჩეულ მიწაში მხოლოდ ორ-სამ დღიურს ნახავთ დამუშავებულს. ცნობის მოყვარეობა გაგიტაცებთ და იკითხავთ—ამდენი მიწა რათ არის დაუმუშავებელიო?—პასუხი მზად არის—შე დალოცვილო ვინ დაამუშავებდა, ოთხი ვაჟი-შვილი ბრძოლის ველზეა. იქ გერმანიას ებრძვიან, უნცროსი ძმა გაზაფხულზე გაიწვიეს, დავრჩი მე მოხუცი მარტო და რაც შევძელი, ის დავამუშავე, გაისად ამასაც ვეღარ შევძლებო.

ასეთ პირობებში იმყოფება სოფელი და ვიმეორებ დროზე უნდა მას შველა და დახმარება, საჭიროა ენერგიული ზომების მიღება, საჭიროა თავგამოდებული მუშაობა, რომ სოფელი ვიხსნათ განსაცდელისაგან.

ძ. გეგეჭკორი.

# თუშ-ფშავ-ხევსურნი და მათი მტრები ქისტები

ჩვენი მთიელები თუშ-ფშავ-ხევსურები უმეტეს ნაწილად მისდევენ მეცხვარეობას და მეძროხეობას, რადგან საძოვარი ადგილები საკმარისად აქვთ, ხოლო სახნავი სწორე ადგილები სრულებითაც არა აქვთ, ჰხნამენ ფერდობებზედ, რადგან ადგილი სულ მთლად მთა-გორიანია. სთესავენ ქერს, დიკას. სიცივის გამო ქერის მეტი არა შემოდისრა, მაგრამ ისიც ხშირად ხდება, რომ ადრეულ ზამთრის დროს, მოსაჭკალი და შემოუსვლელ ქერს თოვლი ასწრობს და თოვლს ქვეშევე რჩება, ამიტომაც არის, რომ ამ ჩვენ მთიელთ სიმდიდრეს და ავლა-დიდებას ცხვარი, და საქონელი შეადგენს. ხევსურების ერბო, ხოლო თუშების ყველი განთქმულია მთელს კავკასიაში.

ამ მთიელების ჩრდილოეთით მოსახლეობენ თიანეთის მაზრის (მითხო) და გროზნის ოლქის ქისტები, რომელნიც შრომას ნაკლებ მისდევენ და თავიანთ ხელობად გაუხდიათ იმ თავითვე ჩვენი მთიელების ცარცვა-გლეჯა და მათი საქონლის ტაცება. დადგება თუ არა ზაფხული და მთებში ცხვარი, რომ ავა საძოვრად, ქისტებიც დაჯოგდებიან და, საუკეთესოდ შეიარაღებულნი, ხან ერთ ბინას დაეცემიან და ხან მეორეს, მიუდით ასობით და ათასობით ცხვარი, ძროხა და ცხენები და ვაი იმისი ბრალი, ვინც თავის საქონელს გამოესარჩლება და ავაზაკებს წინ გადაუდგება—მაშინვე წუთი-სოფელს გამოასალმებენ. ბევრი კარგი ჯან-ღონით სავსე ვაჟკაცი შემოიკლეს ქისტებმა, წაიღეს მთელი მათი სარჩო-საბადებელი, მიწასთან გაასწორეს და დაობლეს მათი ოჯახები. კანტი-კუნტად ცხენების და საქონლის პარვას, აშკარად-ყაჩაღურად დაცემის გარდა, ხომ დასასრული არა აქვს! ძნელად მოიპოვება ისეთი ოჯახი, საიდამაც ქისტებს რომელიმე შინაური პირუტყვი არ მოეპაროთ, რის გამო ჩვენი მთიელნი ამ უმაგალითო დაჩაგვრით და უპატრონობით მეტის-მეტად შეწუხებულნი და გულ მოსულნი არიან და აღარ იციან, როგორ და რა გზით დაიხწიონ თავი ამ უბედურ მდგომარეობას. ყოველივე ბოროტ-მოქმედება ქისტებისა თავის დროზედ ჰხსენდება სამაზრო პოლიციას, პოლიციის მოხელეც ყოველსავე ბოროტმოქმედებაზედ შეადგენს ოქმს და მორჩა და გათავდა. საგანგებოდ, რომ თუშ-ფშავხევსურეთში იმოგზაუროთ და თვითეულ კომლს ცალკე ჰკითხოთ, რა გასაჭირი და სათხოვარი აქვთ მათ ყველასაგან ერთსა და იმავე პასუხს მიიღებთ:—თქვენი ჭირიმეთ, ქისტების ცარცვა-გლეჯიდამ დაგვიხსენითო და მართლაცა, ამაზედ მეტი უბედურება განა იქნება, რომ კაცის მთელ ავლა-დიდებას შეადგენდეს რამდენიმე ცხვარი და ძროხა და სულ მუდამ იმის ფიქრში იყო—აი, საცაა, დამეცემიან ქისტები, მთელს ჩემს სარჩოს გაიტაცებენ და მეც მომკლამენო. და ამასთანავე მან კარგად იცის, რომ იგი ამ შემთხვევაში უმწეოა, უპატრონოა, არსაით საშველი და სახსარი არა აქვს, რადგან ამის დასამტკიცებლად არა ერთი და ორი უტყუარი მაგალითები თავის და თავის მეზობლებისა უწყვია თვალ წინ. აუარებელ ფულსა ჰხარჯამენ ყოველ წელს თუშები ზაფხულის მთის ყარაულის დაჭერაზედ, მაგრამ განა შეიძლება აუარებელი მთების შეკვრა, ან და ასი კაცისაგან კარგად შეიარაღებულ ბრბოს გაბრუნება და აკი ამიტომაც მომხდარა ხშირად, რომ ყარაულიც ამოუხოციათ და საქონელიც დაუტაცნიათ. როდესაც თიანეთის მაზრის უფროსად ეხლანდელი ყარალაშვილი დაინიშნა ქისტების ცარცვა-გლეჯამ უფრო ფართო ხასიათი მიიღო, რადგან ყარალაშვილს მომეტებულ შემთხვევაში დარაჯებად სულ ქისტები ჰყავნდა, ყველა საეჭვო ყოფა-ქცევისა, ამ დარაჯებმა კარგად შეისწავლეს ჩვენი მთის ბილიკები და ის, თუ ვის უფრო კარგი მოსაპარი ცხენი თუ ხარი ჰყავდა, მოუდიოდათ ქურდები, აპარინებდნენ, თითონვე აცილებდნენ და ასე ისტუმრებდნენ შინისკენ. სარწმუნოდ ამბობენ, რომ ყველა ქურდობა-ავაზაკობაში და ცარცვა-გლეჯაში თვით ყარალაშვილის გვამის მცველს მაცა მარეშაულს (ქისტია) უძევს წილიო. ეს ქისტი-დარაჯები მაცას მეთაურობით ამ ერთი თვის წინეთ დათხოვნილ იქმნენ სამსახურიდამ დარაჯთა ინსპექტორი პოლკოვნიკ დუბანოსისგან; სწორე მოგახსენოთ, ამ ქისტების დაშორებით ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა და დიდი და პატარა დუბანოსის მლოცველია.

1914 წელს მეფის ნაცვლის გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის განკარგულებით შესდგა შეერთებული კომისია, გენერალ-მაიორი შჩიგროვსკის თავმჯდომარეობით, რომელშიაც შედიოდნენ ადმინისტრაციის წარმომადგენელნი თიანეთის მაზრისა და გროზნის ოლქისა, ახმეტის მომრიგებელ-შუამავალი და თუშების ამორჩეულნი პირნი. ამ კომისიას უნდა გამოერკვია ის ზარალი, რომელიც თუშებს მიაყენეს ქისტებმა თავიანთი ცარცვა-გლეჯით და ყაჩაღობით. ზარალი აღემატება ასი ათას მანეთს. კომისიის სამუშაო დროდ დანიშნული იყო 23 თიბათვიდგან 25 მკათათვემდე. გროზნის ოლქიდან წარმომადგენლად დაინიშნა კაპიტანი კოსტიუკოვი, თუშებმაც ამოირჩიეს საზოგადოებაზედ (სულ 7 საზოგ.) ოროლი წარმომადგენელი ამ კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. თუშების სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა—ზარალი აგვენაზღაურება და დღეის შემდეგ ქისტებიც თავიანთ ქურდ-ბაცაცობას და ცარცვა-გლეჯას ძალა-უნებურად მოსპობენო. მაგრამ ამ დროს გაჩნდა ეს ქვეყნის დამღუპავი ომი და ჩვენთვის აღარავის მოუცლია და აღარც არავის თუშების ზარალი გამოუკვლევია. თუშების ზარალს რომ ფშავლების და ხევსურების ზარალიც მივუმატოთ, საერთოდ ძალიან დიდ ჯამს შეადგენს, მისი ვარაუდით თქმაც კი ძნელია. და მერე არ იკითხავთ ვინ წაართო ეს ამოდენა ქონება და ვის წაართო, რის ძალით და უფლებით, რა წილი ჰქონდა ძალით გატაცებულ ქონებაში და რა ღონისძიება იქმნა მიღებული, რომ შემდეგში მაინც ამნაირი ველური ცარცვა-გლეჯა და ყაჩაღობა აღარ განმეორებულიყო; იქნება ქაღალდზედ ბევრი და ბევრისბევრი რამ დაიწერა, მაგრამ როგორც ვხედავთ, ცხოვრებაში კი იოტის ტოლაც არაფერი გაკეთებულა, პირიქით, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, ქისტების თავგასხმა-თარეშობამ და მათმა ცარცვაგლეჯამ ამ ბოლო დროს, ყარალაშვილის მაზრის უფროსობის დროს, უფრო მტკიცე და ფართო ხასიათი მიიღო.

იმ გმირობაზედ, რომელნიც ამ მტარვალთან ბრძოლაში დაიხოცნენ თავიანთ ქონების და მამულის დასაცველად, მრავალი ლექსია გამოთქმული და მათი ხსოვნა ხალხში სიყვარულით და პატივისცემით არის აღბეჭდილი და სხვა საერთო გმირებთან ერთად მათზედ გამოთქმულ ლექსებსაც სიამოვნებით ისმენენ ქორწილში, ხატობებში და სხვა ლხინის დროს. სანიმუშოდ აქ მოვიყვან ორიოდეს: ამ ოცი წლის წინეთ პირ-იქით ხევსურეთში, ახიელის საზოგადოებაში, იყო სოფელი კალოთანა, სადაც ათი-თორმეტი კომლი ხევსური მოსახლეობდა. ეს სულ განაპირა სოფელი იყო ხევსურების საზღვარზედ. იმის იქით იწყება ქისტეთი. არხოტის (ახიელი) საზოგადოებაში სულ 80 კომლია და ეს საზოგადოება ენკენისთვიდან ვიდრე მაისამდე, როდესაც იკვრის მთები, მოწყვეტილია დანარჩენ ხევსურეთს, ხოლო ქისტებთან გზა კი არასოდეს იკვრის. სწორედ ამავე მდგომარეობაში არიან შატილის და არდოტის საზოგადოებანი, რომელნიც სამის მხრიდან შემორტყმულნი არიან ქისტებით—ამ მშიერი და გაუმაძღარი მგლებით, რომელნიც ყოველდღე იმის ფიქრში არიან, თუ სად და რა დროს ვის დაეცნენ, რა მოსტაცონ, ვის რა მოჰპარონ და ვინ მოჰკლან. ამ პირობა-მდგომარეობაში ჩაცვივნულნი და აღზრდილნი ხევსურნი, რომელნიც არავისგან და არსაით შველას არ მოელიან, დანარჩენ ხევსურეთს და საქართველოს მოწყვეტილნი, უნდა გამხდარიყვნენ აგეთივე ავაზაკნი და ქვეყნის ნაძირალნი, როგორიც მათი მეზობლები ქისტები არიან, მაგრამ ნამდვილად კი სულ წინააღმდეგსა ვხედავთ: დიოგენის ფარანი რომ აიღოთ და მთელი პირ-იქით ხევსურეთი მოიაროთ, ერთ უბრალო ნემსი-პარია ქურდსაც კი ვერ იპოვით, არამც თუ აშკარა, სხვის ქონების მცარცვ-მტაცებელს, რადგან ამნაირ საეჭვო პირს არავითარი ნიადაგი სოფლად არ მოეპოვება და იგი—ქურდი სამუდამოდ მოკვეთილი იქნება როგორც თავის საზოგადოებიდან, ისე კიდევ ნათესავებისაგან; ხევსურეთში მოკვეთას ისევ დიდი მნიშვნელობა აქვს და მოკვეთილ ადამიანს არსად და არავისთან ადგილი არა აქვს და იგი, როგორც იუდა, ძალაუნებურად იძულებული ხდება, სამშობლოს თავი მიანებოს და მის გარეშე მოსძებნოს თავისი ლუკმა და თავშესაფარი. აი ამის გამო პირიქით ხევსურეთში დაცულია ძველი ქართული ზნეობა. მე მოგახსენებდით ს. კალოთანაზედ. ეს სოფელი დღეს ხევსურეთში აღარ არსებობს, იგი მოსპობილია, მისი მცხოვრებნი გაბნეულნი არიან კახეთის სხვა და სხვა სოფლებში და დღეს კალოთანაში ადამიანთა მაგიერ ქვემძრომნი ბუდობენ და აი რის მიზეზით: ერთხელ ზაფხულში, როდესაც ახლო-მახლო მთებში ფშავლების ცხვარი სძოვდა, კალოთანაში მოვიდა ქისტების ყაჩაღთა ბრბო, ვინმე ანდარუყაის მეთაურობით, და მოსთხოვა ძმებს გიორგი და კვირიკა ქიბიშაურებს ესწავლებინა მათთვის ფშავლების ცხვრის ბინა და თითონაც დახმარებიყვნენ ცხვრების მოტაცებაში. მართლაც ქისტებმა ძალათ წაიყვანეს ძმანი ქიბიშაურნი საყაჩაღოდ, მაგრამ გზაზედ ძმებმა ჩახოცეს ყაჩაღები, რის შემდეგ მთელი სოფელი იძულებული იყო აყრილიყო, თავიანთ ადგილიდან მამა-პაპის ადგილს და ძვლებისთვის თავი დაენებებინათ და ბარათ ერჩინათ თავი, რადგან დახოცილთა ნათესავებისგან სისხლის ძიებისა ეშინოდათ. აი ამ კალოთანის გმირებზედ არის ნათქვამი ორი ლექსი. პირველი:

წამოვლენ ბარათ ქისტები,
ახსენეს თავის ჯვარია,
მაუვლენ ანდარუყოსა,
დიჩინო,[1]) გაგვართ გზანია,
ემზადა ანდარუყოი,
ფეხზედ ჩაიდვა ჯღანია,
უბეს ჩაიცვა სუდარი,
ჯალაბთ დასწერა ჯვარია.
მავიდეს კალოთანაში,
იყო ვახშმობის ხანია.
მონახეს ქიბიშაურნი—
უღელ დადებულ ძმანია,[2])
ქისტურად ჰკითხეს ამბავი,
ერთ-ურთ დაუგეს თვალია.
ეტყვიან ქიბიშაურსა:
ძმაო, გვიჭირე მხარია.
ემზადა ქიბიშაური,
ვეფხვმა აისხა მწკალია,[3])
უერთოდ არ დაბრუნდების
ობლის ნალესი ხმალია.
ჰკითხავდა ანდარუყოი,
ფშავლებს სად უდგა ცხვარია,
ვიდინათ[4]), ანდარუყოვო,
შენ მიგიმოკლდეს გზანია,
გიორგიმ ანდარუყოსა
არ მისცა ომის ხანია.
მა კვირიკაის ხანჯალმა
აისხა სისხლის ცვარია,
გიორგი ქიბიშაურმა
შაალა სულის კარია;
ნაჩალიკ გაუჯავრდება,
ხევსურო, შენი ბრალია.
შენი ჭირიმე, ბატონო,
ქისტებ გაბედეს ძალია,
წელთ მესხა იარაღები,
გან თუ რა ვიყავ ქალია.
ა მაგის ლექსის მათქვამმა
ბეღელს გავაწყვენ ქვანია,
სალექსოდ მინდა, გიორგივ,
ტერღულის[5]) ჯიხვის რქანია.

—

მეორე ლექსი:

სამნია კალოთანელნი,
სამნივ ქორებრივ ჰქრიანა,
ნაპირის ადგილისანი
თავს ხალხში აღარ სთვლიანა,
ნაცად ეგეთა უნდარის,
მანდ რო კრაველან[6]) ცდიანა,
ოხშამი წინ, ოხშამი უკანა,
საბაკეს სისხლით სვრიანა,
ეს მამაძაღლი ქისტები
სრუ საქურდალად დიანა,
კალოთანის ხორხს მოვადნენ,
ბინაზედ დადგებიანა,
უნდოდა დაებალითნეს[7])
მემცხვრისად დაერიალა,
კვირიკამ კრაველიანმა
ომ აღარ დააგვიანა,
დაუხოცნია ორ-ოლნი,
როგორ დახვრიტა ტყვიამა,
გიორგი მარტიაშვილმა
ბერდენკა ჩაუწკრიალა,
დაუკრა ანდარუყოსა,
ტარივით დაატრიალა.
რას წყალობს მგელაის თოფსა,
ნამტვრევნი გადადიანა.
ზოგნი ფულს ანგარიშობენ,
ზოგნი იარაღს ჰყრიანა,
ზოგნი ამბობენ დავლმარხათ,
ზოგნ ტოტით[8]) ქვიშას თხრიანა,
პირ-აღმასავე გასწიეს,
ხარნი[9]) უღელში ღბიანა,
დაღმარხეს წვერის ძირშია,
ზე ქარაფს[10]) დასცემდიანა,
ჰკვირობდა ელამორძაი[11]),
რა ღირმად ჩაუყრიანა.
ეს ლექსი გამოგიგზავნა
ღულით ბაბილოს ნიავმა,
სალექსოდ მინდა ხანჯალი,
რო ქისტებს დაუპრიალა,
არ მინდა შორად ძევაი,
სრუ ჩვენ ჭალაზედ დიანა.

ს. ახმეტის ახლო კვერნაძეულში სცხოვრობს ერთი ღრმად მოხუცებული 90 წლის ხევსური, კაგა ნაროზაული, ქისტების წყალობით არხოტიდამ გადმოსახლებული, აი ამ კაგაზედ გამოთქმული ლექსი, როდესაც მან ქისტებს თავისი საქონელი დააყრენა:

მიკვირხარ ჭალას მთიბელო,
რამ მაგაცდინა ჰქვიანი,
საქონ ტანის[12]) ჩაღლალე,
ბარია სათიბაიანი,
თუ თივა გამითავდება,
სანეკროოა ტყიანი.
დაგძინებია, კაგაო,
ვითამ ჯიხვ იყავ რქიანი,
გამაგიყარეს საქონი,
გამაჰყევ გულ-ჯავრიანი.
ბრალიას ერეჯიფისა[13])
ლიშან არ ჩინდას ტიალი,
სულეთში[14]) ვერ შეაჩინე,
ურჯულო დოლბანდიანი[15])
მეჩვიდმეტე რო ესრიე,
ქისტემზ გაიღეს გრიალი,
ბევრგან კი ჰყრავის, კაგაო,
შენი ხირიმის ტყვიანი,
დააწირვიე ძროხანი,
გაუშვენ პირ-ოფლიანი.
სალექსოდ გამომიგზავნე
ერთ ბოთლი არაყიანი,
ბარაქალ, მამიდაშვილო,
დალფასე მამიშვილობა,
გამამიგზავნე, კაგაო,
რაიც რო იყოს პირობა,
თორ ეგეთ ლექსსა გამოვთქვომ,
ღამით რო მძინარ სტიროდა.

ახროტიონი.

(დასასრული იქნება)

[1]) დიჩინო—ყოჩაღო. [2]) ე. ი. კვირიკა და გიორგი. [3]) იარაღი. [4]) წავიდეთ. [5]) ადგილია. [6]) გიორგი და კვირიკას ხუჭუჭი კრაველივით თმა ჰქონიათ და ემახდნენ „კრაველიანს". [7]) დაებრიყვნათ. [8]) ხელით. [9]) იგულისხმებიან კვირიკა და გიორგი. [10]) დიდი ქვა-ლოდი. [11]) სახელია. [12]) ადგილია. [13]) თოფია. [14]) საიქიოს. [15]) მაჯლაჯუნა, უმსგავსი.

# დაბა-სოფლები

**დაბა არტაანი.** რადგან არტაანისა და ოლთის ოლქებში მრავალი მოიპოება ომისაგან დაზარალებული, როგორც ქრისტიანი, აგრეთვე მუსულმანი ქართველებიც, არტაანში მცხოვრებმა ქართველებმა განიზრახეს გახსნან დაბა არტაანში ქართული საქველმოქმედო საზოგადოების ფილიალური განყოფილება, რომ ამით შეძლება ჰქონდეთ გაუწიონ მათ როგორც ქონებრივი ეგრეთვე გონებრივი და ზნეობრივი დახმარება. 17 ამა ღვინობისთვეს კრება ჰქონდათ და დაადგინეს გაიხსნას დაბა არტაანში ქართული საქველმოქმედო საზოგადოების ფილიალური განყოფილება. გამგეობაში აირჩიეს: ხუთი კაცი: ტარიელ დავითისძე ბ-ნი კეზელი, გიორგი ნიკოლოზის ძე ბ-ნი სალარიძე, ქსენოფონტე იოსების ძე ხარაიძე, კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ბ-ნი ოდიშარია და თ-დი გიორგი ივანეს ძე ამილახვარი, მათ კანდიდატებათ: ლუარსაბ გიორგის ძე თავადი მაყაშვილი და დავით საბას ძე ბ-ნი ლიპარტიანი. ამათში თავჯდომარედ ერთხმად [illegible] ბ-ნი კეზელი, მდ[illegible] და მოლარეთ ბ-ნი ხარაიძე. ეს დადგენილება განყოფილების გამგეობამ დასამტკიცებლად 19 ამა თვეს გაუგზავნა თფილისის ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარ გამგეობას.

ერთი მოკეთეთაგანი.

რედაქტორ-გამომცემელი
ხანდრო ზანზიაშვილი


# ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | საღ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | № 4, | 8 „ | 58 „ | დილ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | № 3, | . 6 „ | 24 „ | საღ. |

ღვინის საწყობი

# ნიკო გ. სესიაშვილისა

იყიდება ხელხაურელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი

# კახური ღვინო

განოვის ქუჩა № 4.

სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.

(185—წ.)

საუკეთესო კახური

# ღვინის საწყობი

ადამ ზურაბის ძის

# ბერელაშვილისა

მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.

(102—წ.)

გამოვიდა და იყიდება

## კ. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზიაში

(ქუთაისში)

რუსული ენის პირველ დაწყებითი სახელმძღვანელო „Новое Слово" ნაწ. I, მეორე გამოცემა. უხვად დასურათებული, შედგენილი ს. ოცხელის მიერ. ფ. ყდით 2 აბაზი.

ამ წიგნის პირველ გამოცემას თითქმის ყველა ქართული პერიოდული გამოცემა (გარდა ჟურნ. „განათლებისა") თანაგრძნობით შეხვდა.

პრაქტიკის მქონი მასწავლებლები გამოცდილების შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ „Новое Сслово"-თ სწავლებით მოწაფეები არაჩვეულებრივი ხალისით და წარმატებით ითვისებენ რუსულ ენას.

სასწავლო ოლქმა თანახმად მზრუნველის რჩევის დადგენილებისა ავტორს აცნობა ოლქის რეცენზენტის აზრი, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: Способъ разучиванія матеріала, предложенный составителемъ „Новаго слова" имѣетъ несомнѣнныя достоинства, и умѣлое пользованіе имъ значительно оживитъ преподаваніе, а равно и усвоеніе дѣтьми русскаго языка... „Новое слово" можетъ быть признано вполнѣ подходящимъ руководствомъ для грузинскихъ народнихъ школъ".

(თ.—225—24)

ქ. თბილისში, ოლღას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა და წიგ. მაღაზია

# „განათლება"-ში

**იყიდება** ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი", „საქართველო", „ეშმაკის მათრახი", „თეატრი და ცხოვრება",", „სახალხო ფურცელი", „ზვირთი", ჟურნ. „განათლება" კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი", „ორიზონი", „მშაკი" და „ხათაბალა".

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

თევზის მრეწველნი

# ძმ. მესხელოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სადაჭრო სახლ. „დ. მაილოვის-ვდოვ, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „ასტრახანის" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და საფრანგეთ-რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ იაფად.




სტამბა „ცხოვრება" კილანდაძისა, გაზეთის შესახვევი № 4.